# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 14 იანვარი 2006 №6 (2628) ფასი 50 თეთრი

# ალბანერთიდან ალბანათამდე

## მალტის შემდეგ მარტი და ალბანეთი



საქართველოს ნაკრები მალტის ტურნირს მოილევს და 22 მარტს ტირანაში ალბანეთის ნაკრებს შეხვდება ამხანაგურად.

ქართულ-ალბანური მატჩები ყოველწლიურ ტრადიციასავით იქცა — უკვე მეათედ გადაეყრებიან ერთმანეთს, წინა ცხრაში კი ექვსჯერ ჩვენებმა იმარჯვეს, სამჯერ „არწივებმა“. სამარტო ჯახი კი იმითაც იქნება გამორჩეული, რომ ორი გერმანელი მწვრთნელის — კლაუს ტოპმიოლერისა და ჰანს-პეტერ ბრიგელის დუელი შედგება.

— საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ჰყავდა კარგი ფეხბურთელები, მაგრამ არ ჰყავდა გუნდი. ახლა კი კლაუს ტოპმიოლერი გყავთ მწვრთნელად და უფრო ძლიერი ნაკრებიც გეყოლებათ — გვითხრა ბრიგელმა, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ.

და ერთიც, 27 იანვარს ევრო 2008-ის კენჭისყრაზე შესარჩევ ჯგუფში საქართველო და ალბანეთი თუ ისევ ერთად მოხვდნენ, 22 მარტის მატჩი აღარ შედგება.

„იმედია, ამჯერად მაინც ავცდებით ერთმანეთს“ — ფრთხილობს ბრიგელი. ისე, არც საქართველო იწვის „არწივებთან“ თანაჯგუფელობის წყურვილით...



# ზეიმი არ იქნება



## ბლატერმა გალა ჩაშალა

2006 წლის მუნდიალის გამხსნელი გალა-წარმოდგენა, რომელიც ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე უნდა გამართულიყო, არ შედგება — ასე გადაწყვიტა ფიფამ. აი, ასეთი უცნაურობაც ხდება, თანაც გერმანიაში, სუპერსტადიონზე...

რა ხდება? შიშობენ, რომ გალა-წარმოდგენის შემდეგ მინდვრის სრულად მოწესრიგება ვერ მოესწრება, არადა, ეს წარმოდგენა 7 ივნისს ბერლინის სტადიონზე გასამართ პირველ მატჩამდე ექვსი დღით ადრე უნდა გამართულიყო. ორგანიზატორების გამოთვლით, უდიდესი გალა-წარმოდგენა 25 მილიონი ევრო უნდა დამჯდარიყო, მასში 5 000 კაცს უნდა მიეღო მონაწილეობა, მათ შორის, პლანეტის თითქმის ყველა რჩეულ პოპ-ვარსკვლავს.

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მოკლედ ამბობს, ასეთი გალა-წარმოდგენები ძალიან მომწონს, მაგრამ პირველ რიგში სპორტულ მხარეზე უნდა ვიფიქროთ, ფანებს ფეხბურთი აინტერესებთო.

რკინის ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი...



AFP

საქართველოს ნაკრები 22 მარტს ალბანეთში მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს — გუშინდელმა ამ ინფორმაციამ, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა კიდეც, ჩვენებს ოფიციალურ დონეზე არ ჰყოფნიდათ ალბანელთა მეტოქეობა?! თუმც, რაც არის, ეგაა, ამხანაგური შეხვედრა უკვე დანიშნულია და ეს ფაქტი, თავისთავად, საქართველოს ნაკრებისთვის სასარგებლო იქნება. ხოლო რას ფიქრობს მომავალ მატჩზე არწივთა გერმანელი თავკაცი ჰანს-პეტერ ბრიგელი, ქვემორე ინტერვიუში იხილეთ. მას გერმანიაში გუშინ დავუკავშირდით და, ცხადია, თვისტომ კლაუს ტოპმიოლერზეც დავეკითხეთ...



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

# ჰანს-პეტერ ბრიგელი: საქართველოს ნაკრებს ტოპმიოლერი ააწყობს

## თუ ჯგუფი იქნება, თამაში არ იქნება

— პრობლემას ვერ ვხედავ, რომ საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ვითამაშოთ, მით უმეტეს, ქართველებს ახლა კლაუს ტოპმიოლერი თავკაცობს და მეტოქეც დარწმუნებული ვარ, უწინდელზე ძალიან განსხვავებულ ფეხბურთს ითამაშებს. ასე რომ, საქართველოსთან მატჩი ჩვენთვის საინტერესოა.

— რას იტყვით საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელზე? პირადად იცნობთ კლაუს ტოპმიოლერს?

— რაც კლაუს ტოპმიოლერმა „ლევერკუზენში" გააკეთა, მის უმაღლეს დონეზე მეტყველებს. ის ძალიან ძლიერი მწვრთნელია.

— საქართველოს ნაკრებზე რას ფიქრობთ?

— ყოველთვის ვფიქრობდი და ვამბობდი, რომ საქართველოს ნაკრებს ჰყავს კარგი ფეხბურთელები და არ ჰყავს გუნდი. ახლა კი, კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნის შემდეგ, მგონია, რომ საქართველოს ნაკრებს კარგი და ძლიერი გუნდიც ეყოლება. ზოგადად, ქართულ ფეხბურთზე საკმაოდ დიდი წარმოდგენა მაქვს. რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს ნებისმიერ ევროპულ გუნდში შეუძლია თამაში.

— რომელ ფეხბურთელებს გულისხმობთ?

— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებდი. ისეც ხომ ყველამ იცის, რამდენიმე ქართველი დღესაც უმაღლეს დონეზე თამაშობს.

— საქართველოს ნაკრების ყველაზე დიდი ნაკლი რა არის?

— ის, რაც უკვე გითხარით. ნაკრებში ყოველთვის თამაშობდნენ ძლიერი ფეხბურთელები, მაგრამ საქართველოს ნაკრები არასდროს იყო გუნდი. ვფიქრობ, ტოპმიოლერი ამ ნაკლს მალე გამოასწორებს.

— ბოლო დროს ალბანეთის ნაკრებში რა შეიცვალა?

— ცვლილებებს არასდროს ვერიდებოდი. მას შემდეგ, რაც ალბანეთი ჩავიბარე, ნაკრებში ბევრი რამ შევცვალე და არც მომავალში ვაპირებ, კურსს გადავუხვიო. რასაც საჭიროდ ჩავთვლი, იმას გავაკეთებ. ძალიან მსურს, რომ ალბანეთის ნაკრებმა ჩემ ხელში წარმატებას მიაღწიოს და, ალბათ, დამეთანხმებით, ბოლო პერიოდში ალბანური ფეხბურთის დონე საგრძნობლად ამაღლდა. ჩვენი გუნდი ხელწამოსაკრავ მეტოქედ უკვე აღარ ითვლება.

— ერთიც, ამხანაგური მატჩი 22 მარტისთვის უკვე დანიშნული კი არის, მაგრამ იქამდე 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაა. საქართველო და ალბანეთი ისევ ერთ ჯგუფში რომ მოხვდნენ...

— ასეთ შემთხვევაში ამხანაგური მატჩი აღარ გაიმართება. ამის თაობაზე ჩვენ უკვე შეთანხმებული ვართ. თუმცა იმედი მაქვს, ისევ ერთ ჯგუფში არ მოვხვდებით.

**კობა ინასარიძე**

### ინგლისი

ჩემპიონატი

XXIX ტური

ფულჰემი 2:1 ლუთონი

### იტალია

სერია B

XXIII ტური

ალბინოლეფე 1:0 ტერნანა

კატანძარო 1:1 კრემონეზე

სერია C1/B

XIX ტური

ლუკეზე 2:1 ჯელა

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XIX ტური

გრონინგენი 2:0 ჰერენვენი

II დივიზიონი. XXV ტური

კამბური 2:3 აპელდორნი

გრააფსხაპი 4:2 ვეენდამი

ემენი 2:1 სიტარდი

ალმერე 3:1 ტელსტარი

ვოლენდამი 1:1 დორდრეხტი

ზვოლე 0:5 ექსელსიორი

ჰელმონდი 1:1 ვენლო

მაასტრიხტი 2:0 ეინდჰოვენი

ოსი 1:1 იგლსი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXII ტური

ამიენი 1:0 მონპელიე

კლერმონი 0:1 გენიონი

გენგამი 0:0 დიჟონი

რეიმსი 3:0 შატორუ

სეტე 0:2 ლორიანი

სედანი 3:1 ისტრი

# ამხანაგური გერმანული თავებით საქართველო — ალბანეთი მეათე ცდაზე მიდის

**კლაუს ტოპმიოლერს** და საქართველოს ნაკრებს მალტის ტურნირის შემდეგ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი უწევს — 22 მარტს საქართველოს ნაკრები ტირანაში ჩვენ ძველ ნაცნობ ალბანეთს ესტუმრება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია.

შეგახსენებთ, რომ მალტაში ჩვენი ეროვნული გუნდი 25 თებერვლიდან 1 მარტამდე დაჰყოფს, გერმანელი ჰანს-პეტერ ბრიგელის ალბანეთთან სტუმრობის მერე კი კიდევ რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარება იგეგმება, თუმცა სავარაუდო მეტოქეები ჯერჯერობით უცნობია, რადგან ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**ტახა შალამბერიძე**

14 დეკემბერი. 1994. ტირანა. „ქემალ სტაფა". 20 000

**ალბანეთი 0:1 საქართველო**

0:1 შ. არველაძე (14)

**საქართველო:** დევაძე, ზ. რევიშვილი, კუდინოვი, შელია (კაპ), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (მ. ჯიშკარიანი 65), ინალიშვილი, გოგრიჭიანი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (ჯამარაული 75)

**მწვრთნელი:** ა. ჩივაძე

**გაფრთხილება:** ქინქლაძე, ქეცბაია

26 აპრილი. 1995. თბილისი. „ეროვნული". 25 000

**საქართველო 2:0 ალბანეთი**

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42)

**საქართველო:** დევაძე, ლუდუშაური, კუდინოვი, შელია (კაპ), (ლობჟანიძე 70), გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, ყიზილაშვილი (ა. არველაძე 79), ქინქლაძე, შ. არველაძე

**მწვრთნელი:** ა. ჩივაძე

8 თებერვალი. 1998. ლა ვალეტა. „ტა ქალი"

**საქართველო 3:0 ალბანეთი**

1:0 ქეცბაია (20), 2:0 ყაველაშვილი (29), 3:0 იაშვილი (72)

**საქართველო:** გვარამაძე, კალაძე, შელია, ჩიხრაძე, ხილაგაძე, შეყილაძე, ნემსაძე (კაპ), ჯამარაული (კიკნაძე 74), ქეცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი

**მწვრთნელი:** ვ. გუცაევი

**გაფრთხილება:** იაშვილი, შელია

5 სექტემბერი. 1998. თბილისი. „ეროვნული". 45 000

**საქართველო 1:0 ალბანეთი**

1:0 ა. არველაძე (65)

**საქართველო:** გვარამაძე, კალაძე, ცქიტიშვილი, ხილაგაძე (კიკნაძე 43), წერეთელი, კობიაშვილი, ნემსაძე (კაპ), ჯამარაული, ქეცბაია (ზ. ჯანაშია 54), ქინქლაძე, ა. იაშვილი (ა. არველაძე 62)

**მწვრთნელი:** ვ. გუცაევი

**გაფრთხილება:** კობიაშვილი, წერეთელი, ჯანაშია

**გაძევება:** ჯანაშია

9 ოქტომბერი. 1999. ტირანა. „ქემალ სტაფა". 6 000

**ალბანეთი 2:1 საქართველო**

1:0 რაკლი (30), 2:0 კოლა (36), 2:1 შ. არველაძე (52)

**საქართველო:** ჭანტურია, შეყილაძე, ჭიჭველიშვილი, დიდავა, კალაძე, კობიაშვილი, ნემსაძე (კაპ), ჯამარაული, გახოკიძე, ა. არველაძე (დ. ჯანაშია 83), შ. არველაძე

**მწვრთნელი:** ი. ბოსკამპი (ჰოლანდია)

**გაფრთხილება:** კალაძე, ჭიჭველიშვილი, შეყილაძე, კობიაშვილი

6 სექტემბერი. 2003. თბილისი. „ეროვნული". 15 000

**საქართველო 3:0 ალბანეთი**

1:0 შ. არველაძე (8), 2:0 აშვეთია (17), 3:0 შ. არველაძე (43)

**საქართველო:** ლომაია, ხიზანიშვილი, ქემოკლიძე, ბურდული (რეხვიაშვილი 68), კვირკველია, კობიაშვილი, ნემსაძე (კაპ), ა. იაშვილი, ჯამარაული (ასათიანი 59), აშვეთია, შ. არველაძე (დემეტრაძე 60)

**მწვრთნელი:** მ. ჟორჟანია

**გაფრთხილება:** რეხვიაშვილი

10 სექტემბერი. 2003. ტირანა. „ქემალ სტაფა". 15 000

**ალბანეთი 3:1 საქართველო**

1:0 ჰასი (52), 2:0 ტარე (54), 2:1 შ. არველაძე (63), 3:1 ბუში (80)

**საქართველო:** ლომაია, ხიზანიშვილი, ქემოკლიძე (რეხვიაშვილი 38), დიდავა (დემეტრაძე 65), კვირკველია, კობიაშვილი, ნემსაძე (კაპ), აშვეთია, ა. იაშვილი (ქინქლაძე 56), ჯამარაული, შ. არველაძე

**მწვრთნელი:** მ. ჟორჟანია

**გაფრთხილება:** რეხვიაშვილი, დემეტრაძე

8 სექტემბერი. 2004. თბილისი. „ლოკომოტივი". 25 000

**საქართველო 2:0 ალბანეთი**

1:0 ა. იაშვილი (15), 2:0 დემეტრაძე (90)

**საქართველო:** დევაძე, სალუქვაძე, ხიზანეიშვილი, მჟავანაძე, კალაძე (კაპ), ცქიტიშვილი. ასათიანი (კანკავა 58), კობიაშვილი, ჯამარაული (კვირკველია 77), შ. არველაძე (დემეტრაძე 90), ა. იაშვილი

**მწვრთნელი:** ა. ჟირესი

**გაფრთხილება:** კალაძე, კანკავა

4 ივნისი. 2005. ტირანა. „ქემალ სტაფა". 12 000

**ალბანეთი 3:2 საქართველო**

1:0 ტარე (6), 2:0 შკელა (33), 3:0 ტარე (55), 3:1 ბურდული (85), 3:2 კობიაშვილი (90)

**საქართველო:** სტურუა, მაღრაძე (ბურდული 64), კალაძე (კაპ), სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კვირკველია, რეხვიაშვილი, ასათიანი (დარასელია 58), კობიაშვილი, ჯაკობია, დემეტრაძე (ბობოხიძე 76)

**მწვრთნელი:** ა. ჟირესი

**გაფრთხილება:** რეხვიაშვილი, დარასელია

სულ: 9 თამაში, 6 მოგება, 0 ფრე 3 წაგება, ბურთები 16:8

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში შიდა ქართლს ერთბაშად ორი გუნდი ჰყავს — „ცხინვალი“ ბიუჯეტის ხარჯზე რალაცას კი ახერხებს, გორის „დილა“ კი თითქმის პირველივე ტურიდან მოყოლებული ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ტორტმანებს.

რეალურად ორივე ამ გუნდის ბედს შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი განაგებს. „დილასა“ და „ცხინვალის“ პერსპექტივებზეც სწორედ მას დავეკითხეთ...



# დილა ტენდერზე, ცხინვალი ბიუჯეტზე

## მიხეილ ქარელი: გორში ბიზნესი თვის ბოლოს გამოჩნდება

— „ცხინვალთან“ დაკავშირებით ახალი რა უნდა გითხრათ?! გუნდი ჩვეულებრივ ემზადება ჩემპიონატისთვის. „ცხინვალი“ კვლავაც ბიუჯეტიდან დაფინანსდება და არათუ შევინარჩუნებთ შემადგენლობას, გაძლიერებასაც ვაპირებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გუნდმა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

— „დილა“?

— სამწუხაროდ, არ არის იმის საშუალება, რომ გორის „დილაც“ ბიუჯეტმა შეინახოს. როგორც იცით, კლუბი იყიდება და ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

— ადრე დასახელებული ფასი — 300 ათასი ლარი ძალაშია?

— დიახ.

— მაგრამ ამ ფასად „დილას“ შეძენა არავის სურს...

— ვინ გითხრათ, რომ არავის სურს? ამჟამად მიმდინარეობის მოლაპარაკება და იანვრის ბოლომდე გუნდს ახალი პატრონი ეყოლება.

— ითქვა, „დილას“ პატრონობას თავდაცვის სამინისტრო აპირებსო...

— პირველად მესმის, ამის შესახებ საუბარი ნამდვილად არ ყოფილა. „დილას“ ბიზნესმენები უპატრონებენ. მართალია, ისინი გორელები არ არიან, მაგრამ სოლიდური ხალხია და დარწმუნებული ვარ, მათი დახმარებით „დილა“ იმ დონეზე ავა, გორს რომ ეკადრება.

**გიორგი ნოზაძე**

# რუსეთის არმია და პოპდინამო

**რუსეთის** ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ყველაზე პოპულარული კლუბის წინააღმდეგ. ესენგეს ტურნირის ცეესკა — თბილისის „დინამოს“ დღევანდელი მატჩის წინ ასეთ ანონსს აკეთებს რუსული სპორტული არხი „პლანეტა-სპორტი“, რომელიც თავის მაყურებელს ამ შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს ჩვენი დროით რვა საათიდან შესთავაზებს.

გასაკვირიც არაფერია, ქართველ ფეხბურთელებს ხომ მოსკოვში ყოველთვის აფასებდნენ და დითირამბებს არ აკლებდნენ. გამონაკლისი არც წლევანდელი ტურნირია. სასტუმრო „იზმაილოვოში“, სადაც ტურნირის ყველა მონაწილე გუნდია დაბინავებული, განსაკუთრებული პატივით სწორედ თბილისის „დინამოს“ დახვდნენ და ჩვენი რუსი კოლეგებიც, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ჩვენებმა დააინტერესა.

— სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ დარბაზში გუნდმა ვარჯიში შვიდ საათზე დაიწყო და მერე მოედანი დონეცკის „შახტარს“ დაუთმო. „დინამოს“ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და ცეესკასთან მატჩისთვის ემზადება. ვარჯიშს ბევრი ქართველი ქომაგი დაესწრო და გუნდი გაამხნევა. როგორც ვიცი, ცეესკასთან თამაშზეც ქართველები ბლომად იქნებიან — გვითხრა „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ, რომელმაც ისიც გვაცნობა, რომ ცეესკა — „დინამოს“ მატჩის რეპორტაჟს „დინამოს“ ვებგვერდი შემოგთავაზებთ.

„დინამოსთან“ ერთად მოსკოვში გაფრინდა რევაზ ძოძუაშვილი, ხოლო ვარჯიშზე მიხეილ აშვეთიაც მივიდა და მეგობრები მოინახულა. სასტუმროში კი დინამოელებს ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველები გიორგი ადამია და ვალერია აბრამიძე შეეგებნენ.

მოკლედ, დღეს, „პლანეტა-სპორტზე“: რუსეთის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ყველაზე პოპულარული გუნდი...

**კობა ინასარიძე**

1. 2006 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა ფეხბურთელთა საერთაშორისო სატრანსფერო მომსახურებაზე დაწესებული თანხის გადახდა.
2. აღნიშნული ბრძანების ასლი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას და რეგიონულ ფედერაციებს, მათში შემავალ საფეხბურთო კლუბებსა და სკოლებს გასაცნობად გაეგზავნათ.

*სფფ-ის პრესცენტრი*

# კანკავა რუსეთ-უკრაინას კუს ტბაზე ელის

**რუსეთის** პირველ დივიზიონში მისამარებული ვლადიკავკაზის „ალანია“ ქართველი ლეგიონერების სანაცვლოდ არცთუ პატარა თანხას ითხოვს. აი, მაგალითად, დაახლოებით 300-400 ათასი დოლარი ადევს ჯაბა კანკავას.



19 წლის ასაკში უთამაშებლად ყოფნა რასაც ნიშნავს, ეს ჯაბამაც კარგად იცის, მაგრამ ვარჯიშის და ლოდინის მეტი არაფერი დარჩენია... კანკავა ყოველდღე კუს ტბაზე ვარჯიშობს და გუშინ გვითხრა, ყოველ წუთს შეიძლება, დამირეკონ და დღეს-ხვალ წავიდეო.

„რუსეთი ან უკრაინა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ ქვეყნებიდან ერთ-ერთში გავაგრძელებ კარიერას, ოღონდ კონკრეტული კლუბი არ ვიცი“ — გვითხრა კანკავამ და იქვე ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ვარიანტიც გამორიცხა, მაგაზე ლაპარაკი არ ყოფილაო.

**ილია ნანოგაშვილი**

# შინიკმა მიქაძე გაუშვა და აშვეთიას ელაპარაკება

**იაროსლავლის** „შინიკმა“ თურქულ ბელეკში მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და მესამელიგელ „ქარსსფორს“ 2:0 მოუგო. ეს მატჩი უიღბლო გამოდგა „შინიკის“ ქართველ ახალწვეულ ლევან მიქაძისთვის, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვლაზე ითამაშა და მწვრთნელს თავი ვერაფრით მოაწონა — ოლეგ დოლმატოვმა ჩვენებურთან დამშვიდობება გადაწყვიტა.

მიქაძე წავიდა, მაგრამ შესაძლოა „შინიკში“ მიხეილ აშვეთია მივიდეს. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველ თავდამსხმელს დონეცკის „მეტალურგთან“ მოლაპარაკება ჩაეშალა და ახლა სწორედ იაროსლავლელებთან ათანხმებს საკონტრაქტო პირობებს.

**კახა შალამბერიძე**

# პირველი ერთიანის მერე

**გიორგი ქინქლაძემ** ყაზანის „რუბინთან“ კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა. ყაზანელები ახლა შეკრებაზე არიან თურქეთში და პირველი ამხანაგური მატჩიც გამართეს, სადაც ქინქლაძის გარდა ლაშა სალუქვაძემაც ითამაშა; ქუთაისის „ტორპედოდან“ „რუბინში“ გადასული მეკარე ნუკრი რევიშვილი კი არ გამოჩენილა.

„რუბინმა“ ავსტრიულ „მატერსბურგს“ 1:0 მოუგო.

**კახა შალამბერიძე**

# ამისულაშვილი ქათმის გრიპს მოარიდეს

**უკრაინის** პროფლიგის თხოვნას, კლუბებს თურქეთში მოსამზადებლად წასვლისგან თავი შეეკავებიანათ, პირველი სიმფეროპოლის „ტავრია“ გამოეხმაურა, ქათმის გრიპით დამფრთხალმა სიმფეროპოლელებმა ერთბაშად ორი თურქული შეკრება გააუქმეს და სანაცვლოდ ისრაელში ან კვიპროსზე აპირებენ წასვლას.

ალექსანდრე ამისულაშვილის „ტავრია“ ახლა ალუშტაში ემზადება საახალსეზონოდ. 14, 18 და 20 იანვარს კი ამხანაგურ მატჩებს გამართავს და ჩვენებურიც პირველად მაშინ მოირგებს „ტავრიას“ მაისურას.

**კახა შალამბერიძე**

# თქვენი ინტერვიუ

# კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



# ნუ ესვრით!

## რატომ სჭირდება ტოპმიოლერს სტადიონზე უსაფრთხოება

*საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნით ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი შესრულდა. თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომლის გადაწყვეტის გარეშეც ამ პროგრამის შესაქმნელად, შესაბამისად, კლაუს ტოპმიოლერის ჩამოსაყვანად გაწეული შრომა და ხარჯი შესაძლოა ფუჭი აღმოჩნდეს...*

ამ შემთხვევაში საუბარია სტადიონებზე წესრიგის აუცილებელ დამყარებაზე, რაც ბოლო წლებში მოურჩენელ თავის ტკივილად ექცათ ჩვენი კლუბების და ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ უეფას მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი პირობითი დისკვალიფიკაცია ჯერაც ძალაშია. საკმარისია, საბერძნეთის და თურქეთის ნაკრებებთან მომხდარი უმსგავსობის გამეორება და უეფა უბრალოდ ვალდებული იქნება, მაქსიმალურად მკაცრი სასჯელი დაგვაკისროს.

გამოსავალი? ერთ-ერთი სავარაუდო და ალბათ ოპტიმალური გამოსავალი სტადიონებზე საკონტროლო-გამშვები სისტემების დამონტაჟება იქნება. ამგვარი სისტემები ევროპაში კარგა ხნის წინაა აპრობირებული და ფართოდ დანერგილი. საუბარია დაახლოებით აეროპორტის საკონტროლო-გამშვები სისტემის ანალოგზე. ამით ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერა შეიძლება. ჯერ ერთი, გამოირიცხება ტრიბუნაზე უბილეთოების მოხვედრა, რაც სერიოზულ ფინანსურ დარტყმას აყენებს ფედერაცას. მეორეს მხრივ, მოიხსნება სტადიონის შესასვლელებში საცობების პრობლემა და გამარტივდება აკრძალული საგნებით ტრიბუნაზე მოხვედრის მსურველთა კონტროლი.

ამ სისტემის მონტაჟი ერთბაშად რამდენიმე პრობლემასთანაა დაკავშირებული, თუმცა სურვილის შემთხვევაში, თითოეული მათგანი მოგვარებადია.

პირველი: დროის ფაქტორი, ანუ ბილეთიან ქომაგს ამ შემთხვევაში შედარებით მეტი დრო დასჭირდება კუთვნილ ადგილამდე მისასვლელად. პრობლემა მოგვარდება, თუ საერთაშორისო შეხვედრებისას (დაწყებამდეც და დასრულების შემდეგაც) ჩვენს სტადიონებზე მხოლოდ ორი-სამი კარი არ იქნება ღია და დანარჩენი საგულდაგულოდ დაგმანული.

მეორე: ფინანსური ფაქტორი. სისტემა თავისთავად ძვირადღირებულია, თუმცა უმარტივესი გათვლებიც კი ცხადყოფს, რომ მისი მონტაჟის შემთხვევაში, თითოეული მატჩიდან ამონაგები თანხის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება გაყიდული ბილეთების ხარჯზე.

საბერძნეთის ნაკრებთან მატჩისთვის ათი ათასზე ოდნავ მეტი ბილეთი გაიყიდა, ტრიბუნებზე კი ორჯერ მეტი მაყურებელი იჯდა. ყველაზე იაფფასიანი ბილეთის ღირებულებაზე გამოთვლით გამოდის, რომ ვერმიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით ასი ათასი ლარი შეადგინა.

საკონტროლო-გამშვები სისტემა დაახლოებით 600 ათასი დოლარი ღირს. გარდა იმისა, რომ სტადიონზე წესრიგის დამყარება მოხერხდება, სისტემა საკუთარ თავს სადღაც ერთი შესარჩევი ციკლის განმავლობაში „გამოისყიდის“.

პრობლემა მესამე და უმთავრესი: ვინ გაიღებს ხარჯებს ხსენებული სისტემის შესაძენად და რომელ სტადიონზე მოხდება მისი მონტაჟი? ეროვნული სტადიონის აქციათა საკონტროლო პაკეტს ქალაქის მერია ფლობს და ლოგიკური იქნებოდა, ფეხბურთის განვითარების პროგრამაში სახელმწიფოს განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, ეს პროექტი ეროვნული სტადიონიდან დაწყებულიყო.

დღეს მოქმედმა ავეჯის ბაზრობამ გამორიცხა ეროვნული სტადიონის შესასვლელთა დიდი ნაწილით სარგებლობის საშუალება, არადა, არც ამ ბაზრობის საკითხის მოგვარებას უჩანს ჯერ სასიკეთო პირი.

რაც შეეხება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს, მესაკუთრე საქართველოს რკინიგზა გასხვისებას უპირებს და დამატებით ხარჯებზე ალბათ მხოლოდ ძალიან ზემოდან მითითების შემთხვევაში წავა.

როდესაც სტადიონებზე წესრიგის შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, არ გვავიწყდება სამართალდამცავი ორგანოების როლიც, მაგრამ მხოლოდ ამის იმედად ყოფნა სახიფათოა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფორმიან-უფორმო ძალოვანთა ოდენობა მაყურებელთა ლამის მესამედს შეადგენს.

რამდენად მიზანშეწონილად ჩაითვლება უსაფრთხოების საკითხის სწორედ ამგვარი გზით გადაჭრა, პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის გადასაწყვეტია. ასე იქნება თუ ისე, პრობლემა რეალურად არსებობს და თადარიგის დაჭერაც აქედანვე გვმართებს. მიყურისძირებით შესაძლოა იქამდე მივიდეთ, ტოპმიოლერის ქართულ მისიას ტრიბუნიდან რამდენიმე ვაიქომაგის მიერ ნასროლმა სანთებელამ ან ბოთლმა დაუსვას მარცხიანი წერტილი.

**გიორგი ნოზაძე**




თუ ქართველი ქომაგი ბოთლს და დანას ვერ შეელია, ჩვენი მადლობა უეფასთან აღარ გაჭრის



ქუთაისის „ტორპედომ“ საღორიის ბაზაზე შეკრება 5 იანვარს დაიწყო, მზადების პირველი ეტაპი გუშინ დაასრულა და რამდენიმე დღეში ისევ შეუდგება საქმეს. ქუთაისში საფეხბურთო ცხოვრება დუღსო, ვერ ვიტყვით — ტრადიციებითა თუ ტიტულებით მეორე ქართული კლუბი ახლა შენების პროცესშია და დიდი ამბიციების გარეშე ხვდება მეორე წრეს, თუმცა...

# ათეული და პერსპექტივა

## რევაზ ბურკაძე: ტორპედო მალე გაიზრდება

— მე მჯერა ამ გუნდის „პერსპექტივის — გვითხრა „ტორპედოს“ თავკაცმა *რევაზ ბურკაძემ* — პირველი წრე კარგა ხნის დასრულებულია და ბიჭები ფორმიდან რომ არ ამოვარდნილიყვნენ, მთლიანად ფიზიკურ კონდიციებზე ვიმუშავეთ. 17-28 იანვარს ქუთაისშივე გავივლით მზადების მეორე ეტაპს, სადაც უკვე ბურთით ვარჯიშებზე გავაკეთებთ აქცენტს.

**— ამხანაგური მატჩები დაგეგმეთ?**

— ორჯერ შევხვდებით ფოთის „კოლხეთს“, დანარჩენი მეტოქეები კი ჯერ დასაზუსტებელია.

**— ისრაელში შეკრების ვარიანტი საბოლოოდ გამორიცხა?**

— ალბათ. საბოლოო პასუხს თვის ბოლოს გავიგებთ.

**— „ზესტაფონიდან“ იჯარით აიყვანეთ რევაზ კვერნაძე. სხვა ახალწვეულებიც თუ გყავთ და მეკარე ნუკრი რევიშვილის გარდა ვინ დაგაკლდათ?**

— რამდენიმე ახალი ფეხბურთელია, მაგრამ მათი გვარები ვერაფერს გეტყვით, ახალგაზრდა ბიჭები არიან, უმეტესად მეორე გუნდიდან. „ტორპედოს“ ძირითადი შემადგენლობიდან კი ჯერჯერობით მხოლოდ კახა ებრალიძე წავიდა.

**— „ტორპედოს“ ფინანსური მდგომარეობა როგორია?**

— ხელფასები გვქონდა ასაღები და უკვე მივიღეთ. სადღეისოდ არაფერი გვიჭირს.

**— ცხრილის ქვედა ნაწილში ხართ და წლეულს მაღალი ადგილებისთვის ველარ იბრძოლებთ. სამომავლოდ რა მიზნები გაქვთ?**

— ახლა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ. უმაღლესი ლიგიდან გავარდნაზე ლაპარაკი არც არის, ათეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ. საერთოდ კი, „ტორპედოს“ მთავარი პრინციპი პერსპექტიული ფეხბურთელების წამოწევაა — ეს გვირჩევნია, ვიდრე გამოცდილი მოთამაშეები მოვიყვანოთ, მერე ისევ დაიშალოს გუნდი და ყოველ ექვს თვეში განახლება დაგვჭირდეს. ერთ წელიწადში, ეგებ ექვს თვეშიც კი, „ტორპედოს“ ამჟამინდელი ახალგაზრდები თავიანთ სიტყვას იტყვიან.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველი ჭაბუკი კიევის აკადემიაში

*ნიკა შონია 1991 წლის 14 ოქტომბერს გალში დაიბადა. ახლა კიევში, ვალერი ლობანოვსკის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში თამაშობს. აკადემიის გუნდი, რომელიც უკრაინის ჭაბუკთა ჩემპიონატში მონაწილეობს (24 თამაში, 22 მოგება, 2 ფრე) პირველ ადგილზეა. შონია ნახევარმცველია და მისი წლევანდელი მონაგარი 9 გოლია...*

**— როდის და სად დაიწყე თამაში?**

— 7 წლის ვიყავი, ზუგდიდში ჩატარდა გაეროს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრი, სადაც ჩემს უფროს ძმას უნდა ეთამაშა. მოულოდნელად მას ფოთში მოუწია წასვლამ, ზუგდიდში კი მისი სახელით მე მათამაშეს. იმის შემდეგ ვთამაშობდი მწვრთნელ ელგუჯა ქომეთიანთან 1991-წლიანების გუნდში.

**— კიევში როგორ მოხვდი?**

— ხობის „ოლიმპიას“ გუნდი კიევში საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ წავიდა. გუნდის გაძლიერების მიზნით, ხობელებმა მეც თან წამიყვანეს. ზუგდიდში დაბრუნების შემდეგ კი საფეხბურთო აკადემიიდან მივიღე მოწვევა, გასინჯვა წარმატებით გავიარე და კიევშიც დავრჩი.

**— პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— სათამაშო პირობები იდეალურია, ხოლო ჩემს საყოფაცხოვრებო პირობებს კიევში მცხოვრები ხობის „კოლხეთის“ ყოფილი პრეზიდენტი დემურ თუთბერიძე უზრუნველყოფს.

**— რა არის შენი ოცნება?**

— კიევის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრებში თამაში.

**გელა ნაჭყებია**

*ზუგდიდიდან*

# და ისევ იტალია

## ამოროზოს მილანელოში მილანელები წარადგენენ



მარსიო ამოროზო 37-ნომრიან მაისურას მოირგებს

**მაშ ასე,** ბოლოხანს „სან პაულუში" მოთამაშე ბრაზილიელმა თავდამსხმელმა მარსიო ამოროზომ სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და მისი ჯანმრთელობა ეჭვგარეშე რომ დადგა, „მილანთან" კონტრაქტი გააფორმა. ამოროზო 31 წლისაა, მისი კონტრაქტი კი წელიწადნახევრიანი გახლავთ. ფეხბურთელის ოფიციალური პრეზენტაცია 37-ნომრიანი მაისურის გადაცემით და სხვა შესაფერისი რიტუალით დღეს მილანელოში, „შავ-წითლების" საწვრთნელ ცენტრში გაიმართება.

კლუბს ამოროზოს ხელფასის შესახებ ოფიციალურად არაფერი უთქვამს, თუმცა იტალიურ პრესაში გაჟონილი ცნობის თანახმად, ზემოხსენებული წელიწადნახევრის განმავლობაში ის დაახლოებით 1,7 მილიონ ევროს მიიღებს. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ამოროზომ განაცხადა, რომ იტალიურ ფეხბურთში დაბრუნებით გახარებულია და იმედოვნებს, რომ „მილანში" თამაში მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის საშუალებას მისცემს.

მოგეხსენებათ, „მილანის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა საკმაოდ დიდი კონკურენციის დაძლევას ნიშნავს, მაგრამ თავდამსხმელს, რომელსაც გასულ წელს ბრაზილიის ნაკრების მაისურით 22 შეხვედრაში 12 გოლი აქვს გატანილი, კონკურენციის არ ეშინია.

„სან პაულუში კარგად ვთამაშობდი. რასაკვირველია ვიცი, რომ ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი და ალბერტო ჯილარდინო ძლიერი თავდამსხმელები არიან, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია... „იუვენტუსის" დაწევაც კი. და, გარდა ამისა, მე მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა მინდა".

მარსიო ამოროზო ევროპელ მაყურებელს ახსოვს, როგორც დორტმუნდის ბორუსიაში, ასევე იტალიურ „უდინეზესა" და „პარმაში" თამაშით.

„ბოლოხანს კარგი პერიოდიც მქონდა და ცუდიც, მაგრამ როგორც ხედავთ იტალიაში, თან ისეთი დონის გუნდში ვბრუნდები, „მილანი" რომ გახლავთ. ვფიქრობ, ამაში გადამწყვეტი როლი „ტოიოტას თასზე" ჩემმა გამოსვლამ ითამაშა. მსოფლიოს კლუბთა ჩემპიონატს ხომ მთელ მსოფლიოში გადასცემდნენ. ბედნიერი კიდევ იმიტომ ვარ, რომ იტალიაში, როგორც ფეხბურთელი და, როგორც ადამიანი თავს საუცხოოდ ვგრძნობ. ვიმედოვნებ, რომ „მილანშიც" შევძლებ იმას, რასაც „სან პაულუში" ვაკეთებდი".

**პაპუნა ძედია**



ფაბიო კაპელო 2009 წელს პენსიაზე გავა

# კაპელოს სამი წელი დარჩა

**ტურინის** „იუვენტუსისა" და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ კარიერას 2009 წელს დაასრულებს. ეს კი ალბათ ისე მოხდება, რომ დონ ფაბიო იტალიის ეროვნულ ნაკრებს არ გაწვრთნის.

„მე „იუვენტუსთან" კონტრაქტი 2007 წლამდე მაკავშირებს და სწორედ ამ დრომდეა გათვლილი ჩვენი პროექტიც, რომლის შესრულების იმედიც მაქვს. ამის მერე კი, ალბათ, რომელიმე არაიტალიურ კლუბს ჩავიბარებ. ასეა თუ ისე, კიდევ ორი წელი ვიმუშავებ და მერე წავალ" — თქვა 59 წლის ტაქტიკოსმა.

ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ამბობდნენ, კაპელო „იუვენტუსს" ამ სეზონის ბოლომდე დატოვებსო. საუბარი ხან მის „რეალში" გადასვლაზეა, ხანაც „მანჩესტერ იუნაიტედში". ახლა, როგორც ჩანს, ეს ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ 2007 წლის ზაფხულში დონ ფაბიო ალბათ, მართლაც დატოვებს „დელე ალპის".

ფაბიო კაპელო: „რაც არ უნდა მოხდეს, 2009 წელს სამწვრთნელო კარიერას შევწყვეტ. „სკუადრა აძურა" ჩემით იმიტომ არ ინტერესდება, რომ მე უფრო ყოველდღიური მუშაობა და რეგულარული მატჩები მხიბლავს. მსოფლიოს ჩემპიონატისა და რამდენიმე თამაშისთვის კი გუნდის მომზადება თავადაც არ მინდა".

აქვე დავძინოთ, რომ მიუხედავად კაპელოს სიტყვებისა, მომავალ ზაფხულს იგი ალბათ მაინც მიიღებს რამდენიმე წინადადებას ევროპული გრანდებისგან. მათ შორის „რეალი" და „მანჩესტერიც" იქნებიან.

**კოკი კანდელაკი**

# ფიორენტინამ ხიმენესი დაინახა

**უკვე** სამი დღეა, ყველა ელის, თუ ვის იყიდის „ფიორენტინა" საკმაოდ სერიოზულად დაშავებული სებასტიან ფრეის ნაცვლად. ფლორენციელებმა კი მეკარის ნაცვლად ნახევარმცველი შეიძინეს. 21 წლის ლუის ანტონიო ხიმენესი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სამხრეთამერიკელ მოთამაშედ ითვლება. იგი 2002 წლის შემდეგ „ტერნანაში" ბურთაობს და საკმაოდ წარმატებულადაც. დღემდე მან უმბრიულ გუნდში 88 მატჩი გაიმართა და 24 გოლიც გაიტანა. ცხადია, თავად ჩილელი ტრანსფერით ძალიან გახარებულია.

რაც შეეხება მეკარეს, თითქმის გადაწყვეტილი იყო „ლაციოს" სათადარიგო გოლკიპერ მატეო სერენის „არტემიო ფრანკიზე" გადაბარგება, მაგრამ ბოლო მომენტში მოლაპარაკება არ მოხერხდა. საუბარია ფრანჩესკო ტოლდოს დაბრუნებაზეც, მაგრამ შესაძლოა, „იებმა" აღარავინ იყიდონ.

„ყველა ცდილობს, სიტუაციით ისარგებლოს და მეკარეებს მაქსიმალურ ფასს ადებენ. ჩვენ არც ისე გვიჭირს, რომ სულელურ წინადადებებს დავთანხმდეთ. გუნდში რამდენიმე მაღალი კლასის გოლკიპერია და გამოსავალს მოვნახავთ" — თქვა ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ.

„ფიორენტინას" უფროსობა ვალერი ბოჟინოვის გაყიდვასაც გამორიცხავს. „იების" უფროსობა მიიჩნევს, რომ ეს ჭორები კლუბში ვითარების ასარევად ვრცელდება, რაც არავის გამოუვა.

პანტალეო კორვინო: „ბოჟინოვზე გავრცელებული ცნობები ზუსტად ისეთივე ჭორია, როგორც ლუკა



პანტალეო კორვინო

ტონის „ბარსელონაში" გადასვლა. ვალერი აქ ბედნიერია და ჩვენთან რჩება".

**კოკი კანდელაკი**

# ბიჭი ლონდონში მიჰყავთ

## თეო უოლკოტი ინგლისის ახალი ვუნდერკინდია

**„არსენალი"** დიდ სამომავლო საქმეს ჩარხავს — „მეთოფეთა" უფროსობამ თვალი დაადგა ორ ვუნდერკინდს, თეო უოლკოტს და აბუ დიაბის. 16 წლის თავდამსხმელი უოლკოტი „საუთჰემპტონში" თამაშობს და „არსენალი" მზადაა, მასში 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. 4 მილიონს სთავაზობს არსენ ვენგერი ფრანგულ „ოსერს" 14 წლის ნახევარმცველ დიაბიში.

უოლკოტისთვის ბრძოლა ინგლისში კარგა ხანია მიმდინარეობს. ამ საქმეში „ჩელსი", „ტოტენჰემი" და „ლივერპული" არიან ჩაბმულნი, მაგრამ უოლკოტის ოჯახზე საუკეთესო შთაბეჭდილება სწორედ ვენგერს მოუხდენია და საქმე ისეა, რომ ბიჭი „ჰაიბერიზე" ამოჩნდება. თანაც უოლკოტის საყვარელი მოთამაშე ტიერი ანრი ყოფილა.

„მეთოფენი" 5 მილიონს ეგრევე გადაიხდიან, ხუთსაც თანდათან, ბიჭის თამაშების მიხედვით. „საუთჰემპტონის" თავმჯდომარემ რუპერტ ლოუმ და ფეხბურთის დირექტორმა კლაივ ვუდვორდმა გუშინ სამ საათს ილაპარაკეს „მეთოფეებთან" და ყველაფერზე შეთანხმდნენ.

ამ ამბებით არცთუ კმაყოფილი დარჩენილა „ჩელსი", რომელიც საუთჰემპტონელებს ეუბნებოდა, „მე-



თეო უოლკოტი

თოფეთა" ნებისმიერ წინადადებას გადავფარავო, თუმცა, არაფერი გამოვიდა. „საუთჰემპტონს" „არსენალისგან" მიეცა უოლკოტის უკან ქირაობის უფლება და ასევე, „მეთოფეთაგან" რამდენიმე მოთამაშის ქირით წაყვანის საშუალება, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად ტრანსფერი 15 მილიონსაც კი მიუკაკუნებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დუდეკი აჯანყდა



**შარშანდელი** ჩემპიონთა თასის ფინალის ერთ-ერთმა გმირმა, 32 წლის ირჟი დუდეკმა „ნაგავი" უწოდა „ლივერპულის" მენეჯერ რაფა ბენიტესს და განაცხადა, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, კლუბი უნდა დატოვოს.

წლეულს დუდეკი სათადარიგო მეკარედ იქცა და რახან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურს, ისეთ კლუბს ეძებს, სადაც ძირითადში დააყენებენ. „ლივერპულმა" 3 მილიონი დაადო თავის გმირ მეკარეს, რაც დუდეკის აზრით არარეალური ფასია მისი ასაკიდან გამომდინარე.

„ჩემი წასვლის დროა. ვერავინ შემაჩერებს — ამბობს დუდეკი — ეს თანხა აბსურდულია. აღარ მინდა აქ თამაში. თუ ვინმე ამ ფასად მიყიდის, დიდი საოცრება იქნება. მარტში 33-ისა ვხდები. ბენიტესთან ლაპარაკი დროის კარგვაა, წასვლა უკვე გადავწყვიტე. თამაშებში აღარ ვმონაწილეობ, არ მაინტერესებს სკამზე ჯდომა. ამ ხალხს ვერ გავაგებინე, რომ მე სწორედ ვიქცევი და ისინიც სწორედ უნდა მოიქცნენ".

**ირაკლი გამყრელიძე**

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლეჩე | : | სამპდორია |
| მესინა | : | პალერმო |
| **ხვალ** | | |
| ასკოლი | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | კიევო |
| ინტერი | : | კალიარი |
| იუვენტუსი | : | რეჯინა |
| ლივორნო | : | სიენა |
| პარმა | : | ლაციო |
| რომა | : | მილანი |
| უდინეზე | : | ტრევიზო |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 18 | 16 | 1 | 1 | 40:10 | 49 |
| მილანი | 18 | 13 | 1 | 4 | 43:21 | 40 |
| ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 36:14 | 39 |
| ფიორენტინა | 18 | 11 | 4 | 3 | 33:18 | 37 |
| ლივორნო | 18 | 10 | 4 | 4 | 21:17 | 34 |
| კიევო | 18 | 8 | 6 | 4 | 23:20 | 30 |
| რომა | 18 | 7 | 6 | 5 | 28:20 | 27 |
| ლაციო | 18 | 7 | 6 | 5 | 25:23 | 27 |
| სამპდორია | 18 | 7 | 4 | 7 | 27:25 | 25 |
| უდინეზე | 18 | 7 | 2 | 9 | 19:25 | 23 |
| პალერმო | 18 | 5 | 7 | 6 | 25:27 | 22 |
| სიენა | 18 | 5 | 5 | 8 | 23:30 | 20 |
| რეჯინა | 18 | 5 | 4 | 9 | 18:27 | 19 |
| ემპოლი | 18 | 5 | 3 | 10 | 20:31 | 18 |
| ასკოლი | 18 | 3 | 8 | 7 | 17:24 | 17 |
| მესინა | 18 | 3 | 7 | 8 | 17:26 | 16 |
| კალიარი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:29 | 15 |
| პარმა | 18 | 3 | 5 | 10 | 19:32 | 14 |
| ლეჩე | 18 | 3 | 3 | 12 | 15:31 | 12 |
| ტრევიზო | 18 | 2 | 5 | 11 | 10:25 | 11 |

# იტალია

## მარტო ტოტი თავდასხმაშიც ბრალიაო?


„მილანი" „რომას" შევჩენკო-ჯილარდინოს დუეტით შეუტევს

**იტალიის** ჩემპიონატი შუაწელს მიადგა — ამ უქმეებზე მეცხრამეტე ტურია, სულ კი ოცმა გუნდმა, ბუნებრივია, ოცდათვრამეტი შეხვედრა უნდა გამართოს. და, რა ხდება სერია A-ს ეკვატორზე? დაწინაურებული „იუვენტუსი" მეცამეტეზე მყოფ „რეჯინას" მასპინძლობს, მისი უახლოესი მდევარი „მილანი" კი დედაქალაქში, ბოლო დროს მზარდი ტემპით მოყოჩაღებულ „რომას" ეთამაშება. როგორც ცხრილიდან ხედავთ, სხვაობა ლიდერსა და მეორეს შორის ცხრა ქულაა, რაც ძირითადად მილანელთა მიერ სტუმრად დაკარგული ქულებითაა განპირობებული.

დახეთ რა ხდება: კარლო ანჩელოტის გუნდს „სან სიროზე" ასპროცენტიანი შედეგი აქვს, ანუ ყველა თამაში მოიგო, ხოლო, რაც შეეხება სტუმრობებს, აქ სტატისტიკა სხვანაირია — „მილანს" მიმდინარე სეზონში ოთხი თამაში აქვს წაგებული. ერთი სიტყვით, ცხრილიდან გამომდინარე, ბუნებრივია, „შავ-წითლები" რომში გამარჯვებას აპირებენ და საამისოდ, უპირველს ყოვლისა ანდრეი შევჩენკოსა და ალბერტო ჯილარდინოს იმედი აქვთ.

წყვილი, რომელიც ახლა ვახსენეთ, სეზონის დასაწყისში ერთმანეთს ეჩვეოდა და იმდენად ეფექტური არ გახლდათ, ბოლო შეხვედრებში კი მეტოქეთა კარი რვაჯერ დალაშქრა, რითაც „მილანის" თავდასხმა ყველაზე შედეგიანი შეიქნა. თუმცა, მოდით აქვე ვთქვათ, რომ სეზონის დასაწყისში მოიკოჭლებდა „რომაც", მერე თანდათან მოყოჩაღდა და, როგორც ხედავთ, ახლა მეშვიდე ადგილზეა.

ამ მატჩთან დაკავშირებით საინტერესო კიდევ ის არის, რომ გულშემატკივრის წინაშეა „რომა", მადრიდის „რეალში" გადასული ანტონიო კასანოს გარეშე, თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ რომაელებს შაბანი ნონდა და ვინჩენცო მონტელა ჰყავთ დაშავებული, რაც „მილანის" წინააღმდეგ მათ თავდასხმას მაინც და მაინც მრისხანე იერს ვერ აძლევს. ერთი სიტყვით, „რომას" ავანგარდში სავარაუდოდ, მარტო ფრანჩესკო ტოტი იქნება, უკნიდან და ფლანგებიდან კი მას მხარს ამანტინო მანსინი, სიმონე პეროტა და დამიანო ტომაზი გაუმაგრებენ.

და კიდევ, რომაელთათვის დიდი დარტყმა გახლდათ როდრიგო ტადეის ტრავმა. ტადეი ხუთშაბათის ვარჯიშზე ისე დაშავდა, რომ ხვალ ვერ ითამაშებს.

„ფიორენტინას" ქომაგები კი ნერვიულობენ, რაც გასაგებია: იტალიის ორგზის ჩემპიონი მართალია, მეოთხე ადგილზეა, მაგრამ 2006 წელი მთლად კარგად ვერ დაიწყო: ჯერ იყო და „რეჯინასთან" 1:1-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა და მერე, თასზე, „იუვენტუსთან" 1:4 წააგო. ხვალ „იებს" საკმაოდ სახიფათო „კიევოსთან" ელით თამაში. „მფრინავი ვირები", არც მეტი, არც ნაკლები, მეექვსე ადგილზე არიან და, რა გასაკვირია, კარგი ტლინკიც რომ იცოდნენ. პლუს, ფლორენციელთა თავის ტკივილი გახდა მეკარე სებასტიან ფრეის ტრავმაც. გოლკიპერმა შესაძლოა, სეზონის ბოლომდეც კი ვერ ითამაშოს — ფრეის მუხლი იუვენტუსელ მარსელო ზალაიეტასთან შეჯახებისას დაუშავდა.

**ბაპუნა ძედია**

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | მიდლსბრო |
| ასტონ ვილა | : | ვესტ ჰემი |
| ბლეკბერნი | : | ბოლტონი |
| ჩარლტონი | : | ბირმინგემი |
| ფულემი | : | ნიუკასლი |
| ლივერპული | : | ტოტენჰემი |
| სიტი | : | მანჩესტერი |
| პორტსმუთი | : | ევერტონი |
| **ხვალ** | | |
| უიგანი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| სანდერლენდი | : | ჩელსი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 21 | 19 | 1 | 1 | 46:10 | 58 |
| მანჩესტერი | 21 | 13 | 6 | 2 | 40:17 | 45 |
| ლივერპული | 19 | 12 | 5 | 2 | 28:11 | 41 |
| ტოტენჰემი | 21 | 11 | 7 | 3 | 31:18 | 40 |
| არსენალი | 20 | 10 | 4 | 6 | 27:15 | 34 |
| უიგანი | 21 | 11 | 1 | 9 | 25:26 | 34 |
| ბოლტონი | 19 | 9 | 5 | 5 | 25:20 | 32 |
| ბლექბერნი | 20 | 9 | 3 | 8 | 26:25 | 30 |
| სიტი | 21 | 8 | 4 | 9 | 27:24 | 28 |
| ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:30 | 26 |
| ნიუკასლი | 20 | 7 | 5 | 8 | 20:23 | 26 |
| ასტონ ვილა | 21 | 6 | 7 | 8 | 25:30 | 25 |
| ჩარლტონი | 19 | 8 | 1 | 10 | 24:30 | 25 |
| ფულემი | 21 | 6 | 5 | 10 | 25:30 | 23 |
| ევერტონი | 21 | 7 | 2 | 12 | 14:31 | 23 |
| მიდლსბრო | 20 | 5 | 7 | 8 | 25:30 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 5 | 4 | 12 | 20:31 | 19 |
| პორტსმუთი | 21 | 4 | 5 | 12 | 16:33 | 17 |
| ბირმინგემი | 20 | 4 | 4 | 12 | 15:29 | 16 |
| სანდერლენდი | 20 | 1 | 3 | 16 | 15:38 | 6 |

# ინგლისი

## შნარ-ჩვევების ტესტი ლივერპულისთვის


„ნიუკასლს" ტრავმირებული მაიკლ ოუენიც დააკლდება

**დღეს** „ლივერპულის" ოთხკვირიანი გამოცდა „ტოტენჰემით" იწყება. ჩემპიონთა თასის მფლობელი „ტოტენჰემის" შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს", „ჩელსისა" და „არსენალს" შეხვდება. „ეს მატჩები ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იქნება — განაცხადა რაფაელ ბენიტესმა — ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეგვიძლია, რაც საქმით უნდა დავამტკიცოთ".

„ტოტენჰემი" შემოდგომაზე ლიგის თასის გათამაშებიდან „გრიმსბიმ" გააგდო, გასულ უქმეებზე და ასოციაციის თასზე „ლესტერთანაც" დამარცხდა. ლონდონელ „მამლებს" ახლა პრემიერლიგაზე შერჩათ და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აპირებენ. აღსანიშნავია, რომ 16 წლის განმავლობაში ამ გუნდს ჩემპიონატი ზედა ექვსეულში არასოდეს დაუმთავრებია და ახლა აქვს შანსი, ნავსი გატეხოს. აპრილ ჰოსამ მიდო ძირითად შემადგენლობაში იქნება, ხოლო ტრავმამოშუშებული მცველი ლედლი კინგი შესაძლოა, ათამაშონ. რაც შეეხება „ლივერპულს", ბენიტესს ყველა მთავარი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს.

ზედიზედ სამი ფრის (ერთი პრემიერლიგაში და ორი თასზე) შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედი" თანაქალაქელ „სიტის" ეწვევა, რომლის მცველი დავიდ სომეილი დისკვალიფიცირებულია.

ალბათ იოლი გასეირნება ელის „ჩელსის" სანდერლენდში. მეტოქეებს შორის კლასში სხვაობა უდიდესია და ლონდონელებს მორიგი სამი ქულის მითვლა არ უნდა გაუჭირდეთ. „ჩელსი" დიდიე დროგბას გარეშე ითამაშებს, რადგან ფორვარდი აფრიკის ერონებათა თასზე ნაკრებშია გამოძახებული. მოსალოდნელია, იგი კარლტონ კოულმა შეცვალოს, რომლის მონდომებითაც („ჰადერსფილდთან" ასოციაციის თასზე) ჟოზე მაურინიუ კმაყოფილი დარჩა. არგენტინელმა ერნან კრესპომ ტრავმა მოიშუშა, ხოლო ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი თუ ითამაშებს, ეს მისთვის 250-ე ჩელსური მატჩი იქნება.

„პორტსმუთში" ალბათ სამი ახალწვეულის დებიუტი შედგება. ზღვისპირელებმა გუშინწინ „ტოტენჰემიდან" ნოე ჰამარი, პედრუ მენდეში და შონ დევისი შეიძინეს. პამარო დისკვალიფიცირებულ ცენტრალურ მცველ დეიან სტეფანოვიჩს შეცვლის.

ალექსანდრ გაიდამაკის ფულის წყალობით მოყოჩაღებული „პორტსმუთი" ახლა ანგარიშგასაწევი გუნდი გახდა და ნელ-ნელა ცხრილში მაღლა ასვლას ეცდება.

„ევერტონის" ყოზეფ იობო და დანკან ფერგიუსონი ტრავმირებულნი არიან, ამიტომაც მათი თამაში საეჭვოა.

„ფულემის" მეტოქე „ნიუკასლს" შვიდი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული: მაიკლ ოუენი, ემრე ბელოზოღლუ, სკოტ პარკერი, კირონ დაიერი, კრეიგ მური, შოლა ამეობი და სტივენ ტეილორი. ლი ბოიერმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და დღეს ბურთის გაგორებას შეძლებს. მასპინძელთა გუნდში ახალი მეკარის, ანტი ნიემის დებიუტია მოსალოდნელი, რომელიც „საუთჰემპტონიდან" შეიძინეს. მწვრთნელმა კრის კოულმენმა „ლეიტონთან" სათასო შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშე — ბოკანეგრა, ვოლცი, მაკბრაიდი და ჰელგუსონი — დაასვენა. „ნიუკასლთან" ეს კვარტეტი მოედანზე იქნება.

„ბლექბერნის" სტუმარ „ბოლტონს" ოკოჩა, დიუფი, ფეიე და ჯაიდი „გაექცნენ", რადგან აფრიკის ერთვნებათა თასზე თავ-თავიანთ ნაკრებებში უნდა ითამაშონ. სამაგიეროდ, მოშვობიდნენ კევინ ნოლანი და კევინ დევისი, რომლებსაც სახელმოხდილი ივან კამპოც შეუშველება. ნიკი ჰანტისა და გარი სპიდის თამაში საეჭვოა ტრავმების გამო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბეტისი | : | ატლეტიკო |
| ვალენსია | : | ოსასუნა |
| ხვალ | | |
| სარაგოსა | : | მალიორკა |
| დეპორტივო | : | ალავესი |
| ბარსელონა | : | ბილბაო |
| სოსიედადი | : | ესპანიოლი |
| ხეტაფე | : | სელტა |
| მალაგა | : | კადისი |
| რეალი | : | სევილია |
| რასინგი | : | ვილიარეალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 18 | 13 | 4 | 1 | 45:15 | 43 |
| ოსასუნა | 18 | 12 | 3 | 3 | 26:17 | 39 |
| ვალენსია | 18 | 9 | 6 | 3 | 26:17 | 33 |
| დეპორტივო | 18 | 9 | 5 | 4 | 26:17 | 32 |
| ვილიარეალი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:16 | 31 |
| რეალი | 18 | 9 | 3 | 6 | 29:19 | 30 |
| სევილია | 18 | 8 | 5 | 5 | 20:14 | 29 |
| სელტა | 18 | 9 | 2 | 7 | 19:21 | 29 |
| სარაგოსა | 18 | 5 | 9 | 4 | 22:22 | 24 |
| ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 23:24 | 24 |
| სოსიედადი | 18 | 6 | 3 | 9 | 26:35 | 21 |
| ატლეტიკო | 18 | 4 | 8 | 6 | 18:19 | 20 |
| რასინგი | 18 | 4 | 8 | 6 | 15:21 | 20 |
| ესპანიოლი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:23 | 18 |
| მალაგა | 18 | 4 | 5 | 9 | 23:26 | 17 |
| კადისი | 18 | 4 | 5 | 9 | 12:21 | 17 |
| მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17:29 | 17 |
| ბეტისი | 18 | 3 | 7 | 8 | 14:25 | 16 |
| ბილბაო | 18 | 3 | 6 | 9 | 19:25 | 15 |
| ალავესი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:29 | 12 |

# ესპანეთი

## რეალურად საშინელი 13



ხვალ ესპანურ პრიმერაში დებიუტი „სოსიედადის“ ახალწვეულ მორტენ სკოუბოს ექნება

AFP

**ესპანური** პრიმერას მეცხრამეტე ტურში, სევილიური „ბეტისი“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობს. ადგილობრივები სადღაც ცხრილის ბოლოში არიან მიკარგულნი და თუ დროულად არ გამოფხიზლდნენ, სეზონის ბოლოს სეგუნდადივიზიონთან ჩახუტება მოუწევთ. სტუმრებსაც მწარედ ჩაუქინდრავთ თავი — „ატლეტიკოს“ მერვე ტურის მერე მოგება არ უნახავს, ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა, ახლახან მწვრთნელი შეიცვალა და საერთოდ, „თეთრ-ალისფერთა“ ბანაკში დიდი არეულობაა. მადრიდელებმა, ლუჩანო გალეტიმ, პეტერ ლუქსენმა და გაბრიელ ფერნანდესმა ტრავმები მოირჩინეს და „რუის დე ლოპერაზე“ თამაშს შეძლებენ.

დღესვე „ვალენსია“ „ოსასუნას“ უმასპინძლებს. კიკე სანჩეს ფლორესის გუნდი წლეულს პრიმერაში და თასზე ერთნაირად კარგად ასპარეზობს. პაბლო აიმარს მუხლი სტკივა, თუმც, ექიმთა ცნობით, არგენტინელი „ოსასუნასთან“ მოედანზე მაინც გავა.

ხვალ ლიდერი „ბარსელონა“ კოპა დელ რეიზე „რეალთან“ განადგურებულ „ბილბაოს“ მიიღებს. „ბარსამ“ [illegible] სარბიელზე ზედიზედ 16 მატჩი მოიგო და მხოლოდ ღმერთმა იცის, ტრიუმფალურ სვლას როდის შეაჩერებს. ჟულიანო ბელეტი დისკვალიფიცირებულია და ბასკებთან არ იქნება. „ბილბაოს“ ქულები ჰაერივით უნდა: ხავიერ კლემენტეს ბიჭები ბოლოდან მეორე ადგილზე არიან.

მადრიდის „რეალმა“ გასულ უქმეებზე „ვილიარეალთან“ მხოლოდ უგოლო ფრე გაახერხა და მარადიულ „მტერ“ „ბარსას“ 13 ქულით ჩამორჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ „გალაქტიკოსებს“ საამსეზონო ტიტულზე ხელი არ ჩაუქნევიათ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნასტუმრები „სევილია“ ძვლებიანად უნდა გადაყლაპონ, რაც საკმაოდ ძნელი იქნება. მეშვიდეადგილოსანი ანდალუზიელები უეფას თასზე მოსახვედრად იბრძოლებენ. „რეალს“ დისკვალიფიცირებული ივან ელგერა არ ეყოლება.

ხოაკინ კაპაროსის „დეპორტივო“ მშობლიურ „რიასორზე“ „ალავესთან“ დისკვალიფიცირებულ ჟორჟე ანდრადეს, ხუან კაპდევილასა და პედრო მუნიტისს მოისაკლისებს.

ასეთივე მიზეზის გამო „ვილიარეალს“ „რასინგთან“ გასვლაზე ცენტრალური მცველი გონსალო როდრიგესი დააკლდება.

ბასკური „სოსიედადი“ „ესპანიოლთან“ ახალწვეულს, დანიელ მორტენ სკოუბოს გამოსცდის. კატალონიელები კი „ანოეტაზე“ ხუანფრანის გარეშე იქნებიან.

ბოლოდან მეოთხე ადგილზე მყოფი „მალიორკა“ სარაგოსაში ოკუბოს, პრატსსა და ტუნის ვერ წაიყოლებს — ისინი გრიპმა საწოლს გააკრა. „სარაგოსას“ კი ალვარო დააკლდება — წინა მატჩში უხეშობისთვის „გაწითლებულია“ და იმიტომ.

**ლადო ხომერიკი**

## გალაქტიკა ბენიტესის მოლოდინში



მადრიდის „რეალმა“ თვალი რაფაელ ბენიტესსაც დაადგა

**მადრიდის** „რეალის“ თავკაცობას შემდეგი სეზონისთვის მწვრთნელად რაფაელ ბენიტესის მიყვანა სურს. როგორც ესპანური გაზეთები — „ასი“ და „ელ მუნდო დეპორტივო“ გვამცნობენ, „სამეფო გუნდის“ სპორტული დირექტორი ბენიტო ფლორო ლივერპულელი ბენიტესის მადრიდში ჩაყვანით სერიოზულად არის დაინტერესებული და რაფასთან მოლაპარაკებაც უკვე მიმდინარეობს. სხვა საქმეა, თავად ბენიტესი თუ მოისურვებს „ენფილდის“ მიტოვებას.

მოგეხსენებათ, ესპანელმა სპეციალისტმა გასულ სეზონში მოგებული ჩემპიონთა თასით, ადგილობრივი ფანების უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა და ახლა საეჭვოა, მადრიდულ ავანტიურაზე ნაკლებად მიუწვდეს გული. რაფას „ლივერპულში“ ნამდვილი კასტილიური კოლონია აქვს (ფეხბურთელები ხოსე რეინა, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, ფერნანდო მორიენტესი, მიკი როკე და ანტონიო ბარაგანი; სამწვრთნელი შტაბი — ხოსე ოჩოტორენა, პაკო აიესტერანი და პაკო ერერა) და ამ ხალხთან ერთად „ლივერპულის“ უფრო გაძლიერებას ცდილობს. მადრიდული „ასი“ კი აღნიშნავს, ფლორომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და შინაური გენიოსის (ბენიტესი წარმოშობით მადრიდელია) „რეალში“ გამწვრთნელება ბოლო ჟამს კრიზისშეყრილი გუნდისთვის მისწრება იქნებაო.

შეგახსენებთ, რომ გარდა ბენიტესისა, „რეალის“ მომავალ მწვრთნელად ფაბიო კაპელოც მოიაზრება. ახლანდელ სპეციალისტს, ხუან რამონ ლოპეს კაროს კი სავარაუდოდ, თანამდებობას სეზონის დასრულებისთანავე დაატოვებინებენ, თუ მან რაიმე დიდი ჯილდო არ მოიგო, რა თქმა უნდა.

**ლადო ხომერიკი**



## პანდიანი შინ დაბრუნდა

**ურუგვაელი** ვალტერ პანდიანი ამიერიდან კატალონიური „ესპანიოლის“ ფეხბურთელი იქნება — დანიელ სანჩეს ლიბრეს გუნდი ინგლისურ „ბირმინგემს“ მილიონნახევარ ევროზე გაურიგდა და ურუგვაელი „ელ რიფლეც“ (თოფი) „ესპანიოლში“ 2008 წლამდე ითამაშებს.

„მოხარული ვარ, რომ ისევ ესპანურ პრიმერიდივიზიონს დავუბრუნდი. მჯერა, „ესპანიოლი“ ჩემთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს“ — უთხრა პრატის აეროპორტში ჩასულმა ვალტერ პანდიანიმ მასთან სამასლაათოდ მივარდნილ მედიას.

ოკეანისგაღმელი თავდამსხმელის საფეხბურთო კარიერაში ეს რიგით მესამე გუნდია. 30 წლის პანდიანი „ბირმინგემში“ გადასვლამდე გალისიური „დეპორტივოსა“ (2000-2002 და 2003-2005) და „მალიორკას“ (2002-2003) მოიერიშე იყო.

„გოლების ზღვას ვერ შეგპირდებით, მაგრამ არც „მშრალად“ დავრჩები“ — განაცხადა ბოლოს პანდიანიმ.

**ლადო ხომერიკი**

## მამა აფრიკა

### ევროპა შავი სისხლისგან იცლება

**20 იანვრიდან** 10 თებერვლამდე აფრიკული ნაკრებები ეგვიპტეში კონტინენტის თასის მოსაპოვებლად იბრძოლებენ. ტურნირს, როგორც წესი და რიგია, წაგებულებიც ეყოლება და გამარჯვებულიც, მაგრამ ყველაზე მეტად აფრიკის თასი ევროპულ კლუბებს დააზარალებს.

დიდი აფრიკული გადაადგილება უკვე დაიწყო — ფრანგული და ინგლისური სპორტული მედიის ცნობით, კონტინენტის საპატიო ჯილდოსთვის ევროპას 200 წამყვანი მოთამაშე დატოვებს. ცხადია, „შავი ტალღის“ შინ დაბრუნებამ, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთს ჩასცა ლახვარი — იქ ხომ ფრანგთა ოდინდელი კოლონიებიდან ბედის საძიებლად ჩასული ბლომად შავტუხა ხალხი თამაშობს. ფრანგული კლუბებიდან „გაქცეულთა“ რიცხვი ჯერ 64-ია, ოღონდ ეს რაოდენობა გაიზრდება, როცა ტოგოს და ლიბიის ნაკრებები საკუთარ განაცხადს წარადგენენ. „მარსელი“ მაგალითად, ხუთ ფეხბურთელს ემშვიდობება, ნიგერიელებს ორუმას და ტაივუს, ასევე სენეგალელებს ბეიეს და ნიანგს და კოტდივუარელ მეიტეს.

ინგლისი დაზარალებულთა სიაში მეორე ადგილზეა. „პორტსმუთსა“ და „ბოლტონს“ სამ-სამი ფეხბურთელი მოაკლდებათ. მაურინიოს „ჩელსი“ კი სამი კვირის განმავლობაში დროგბასა და ჯერემის გარეშე დარჩება.

დანარჩენი გრანდებიდან „არსენალს“ მაგალითად, ტურეს და ებუს ჩამოაცილებენ, „ინტერს“ — მარტინსს, „რომას“ კუფურს და ხარიას, „ტოტენჰემს“ — ნაიბეტსა და მიდოს და ასე შემდეგ...

**ლადო ხომერიკი**

# ლაციომ ჩიტადელი ააშენა




ინტერი — პარმა. მილანელმა მარკო მატერაციმ პარმელი ფრანჩესკო რუოპოლო სარმითლა შეაჩერა

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები

**ინტერი 0:0 პარმა (1:0)**

**ინტერი:** ტოლდო, ბურდისო, მატერაცი, მიხაილოვიჩი (კორდობა 23), ვიეირა, სოლარი, დ. პიზარო, კ. ძანეტი, კილი გონსალესი (სტანკოვიჩი 64), ადრიანო (მარტინსი 71), კრუზი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**პარმა:** დე ლუჩია, მატიუცი, ბონერა, ფ. კოუტუ (პ. კანავარო 46), ჯ. როსი, ჩიგარინი, დესენა, ბოლანო, მორფეო (სიმპლისიო 46), დედიჩი (მანდორლინი 83), რუოპოლო
**მწვრთნელი:** მარიო ბერეტა
**გაფრთხილება:** დესენა, კორდობა, ბოლანო
**მსაჯი:** ჯანნოკარო
3 294 მაყურებელი

**ჩიტადელა 0:0 ლაციო (0:2)**

**ლაციო:** ბალოტა, ოდო, სტენდარდო, სივილია (კრიბარი 77), ძაური, დე სილვესტრი (კ. მანფრედინი 46), დაბო, ბარონიო, ჯალომბარდო, ს. ინძაგი (პანდევი 46), ტარე
**მწვრთნელი:** დელიო როსი

**„ინტერი"** იტალიის თასის მეოთხედფინალში „პარმასთან" 0:0-მა გაიყვანა. პირველი შეხვედრის ანგარიში „შავ-ლურჯების" სასარგებლოდ იყო 1:0.

ეს თამაში „სან სიროზე" გაიმართა. პირველ ტაიმში მასპინძლებს თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ — სანტიაგო სოლარისა და დავიდ პიზაროს გოლების გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ შეძლეს, შესვენების შემდეგ კი პარმელები გაყოჩაღდნენ. 52-ე წუთზე სტუმრების დაწინაურება ზლატკო დედიჩს შეეძლო, მაგრამ საჯარიმოს კიდესთან, საგოლე სიტუაციაში ბურთს დაუფლებულმა უზუსტოდ დაარტყა. მომენტი გაუშვა ხელიდან თავდასხმაში მისმა მეწყვილემ ფრანჩესკო რუოპოლომაც. მას დანიელე დესენამ შეუქმნა საგოლე მომენტი.

მოგვიანებით, „ინტერს" შეეძლო შემთხვევითი გოლით მოეგო შეხვედრა — პაოლო კანავარომ კინაღამ საკუთარ კარში გაიტანა გოლი. ბედად სტუმართა მეკარემ ალფონსო დე ლუჩიამ ცალი ხელით და აშოლტილი ნახტომით შეძლო ბურთის კარს უკან გადაგდება.

71-ე წუთზე „პარმა" პენალტს ითხოვდა. მიზეზი: შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუოპოლოს მარკო მატერაციმ საჯარიმოში ფეხი გამოსდო, მაგრამ მსაჯმა ანტონიო ჯანნოკარომ არ ჩასტვინა.

მეოთხედფინალში „ინტერი" „ლაციოს" შეხვდება. რომაელებმა, იმავე დღეს, როდესაც „შავ-ლურჯები" პარმელებს ებრძოდნენ, სერია C-ს „ჩიტადელას" 0:0 დაუმთავრეს და პირველ შეხვედრაში მოგებული 2:0-ის წყალობით დაიბევეს რვა უძლიერესს შორის ადგილი. ამ შეხვედრაში „ჩიტადელამ" დიდი მონდომებით შეუტია რომაელთა კარს, მაგრამ „ლაციოს" მეორე შემადგენლობამ თავდაცვას თავი ყოჩაღად მოაბა და შედეგს მიაღწია.

**პაპუნა ძედია**

### მეოთხედფინალის წილისყრა

**ინტერი — ლაციო**
**პალერმო — მილანი**
**რომა — იუვენტუსი**
**სამპდორია — უდინეზე**

*პირველი მატჩები გაიმართება 25 იანვარს, საპასუხოები — 1 თებერვალს*

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი XXI ტური

**ტულუზი 1:0 პსჟ**

1:0 დ. მორეირა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 21 | 15 | 5 | 1 | 36:14 | 50 |
| ბორდო | 21 | 9 | 9 | 3 | 18:11 | 36 |
| ოსერი | 21 | 11 | 2 | 8 | 28:23 | 35 |
| პსჟ | 21 | 10 | 4 | 7 | 26:20 | 34 |
| 16261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.25 | 2.90 |
| 16262 | ოფი-კალამარია | 1.30 | 2.20 |
| 16263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.45 | 2.00 |
| 16264 | პაოკ-ქსანთი | 1.35 | 2.55 |

## გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | სიტი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | არსენალი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ფულემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ბლეკბერნი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სანდერლენდი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17059 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | დანფერმლაინი-ჰარტსი | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | ინვერნესი-ლივინგსტონი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | მოზერუელი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ლეჩე-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17082 | მესინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ასკოლი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ფიორენტინა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17086 | ინტერი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ლივორნო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17090 | პარმა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17091 | უდინეზე-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17092 | რომა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17125 | ბარსელონა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ბეტისი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17129 | ხეტაფე-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17130 | დეპორტივო-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | მალაგა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | რეალი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17133 | რასინგი-ვილარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ვალენსია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17136 | სარაგოსა-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ნანსი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ისტრი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ლე მანი-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ლილი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17166 | მონაკო-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ნანტი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17168 | სტრასბური-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | პსჟ-ტროა | 1.85 | 1.95 |
| 17170 | სტ-ეტიენი-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17171 | მარსელი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ამადორა-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ბელენენსეში-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17239 | ბრაგა-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17240 | მარიტიმუ-გილ ვისენტე | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ნასიონალი-ფერეირა | 1.85 | 1.95 |
| 17243 | ნავალი-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17244 | რიუ ავე-პენაფიელი | 1.85 | 1.95 |
| 17245 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17256 | აეკ-ატრომიტოსი | 1.85 | 1.95 |
| 17259 | იონიკოსი-ლევადიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17260 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 1.85 | 1.95 |
| 17261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.85 | 1.95 |
| 17262 | ოფი-კალამარია | 1.85 | 1.95 |
| 17263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17264 | პაოკ-ქსანთი | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | სიტი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | არსენალი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 12005 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ფულემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.60 | 2.00 |
| 12011 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | სანდერლენდი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 12057 | სელტიკი-კილმარნოკი | 2.20 | 1.55 |
| 12059 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 12060 | დანფერმლაინი-ჰართსი | 1.90 | 1.70 |
| 12062 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.90 | 1.70 |
| 12064 | ინვერნესი-ლივინგსტონი | 1.90 | 1.70 |
| 12065 | მაზერუელი-რეინჯერსი | 2.00 | 1.70 |
| 12081 | ლეჩე-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12082 | მესინა-პალერმო | 1.60 | 2.00 |
| 12083 | ასკოლი-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12084 | ფიორენტინა-კიევო | 1.90 | 1.70 |
| 12086 | ინტერი-კალიარი | 2.20 | 1.50 |
| 12087 | იუვენტუსი-რეჯინა | 2.00 | 1.60 |
| 12089 | ლივორნო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12090 | პარმა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12091 | უდინეზე-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 12092 | რომა-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 12125 | ბარსელონა-ბილბაო | 2.10 | 1.55 |
| 12127 | ბეტისი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12129 | ხეტაფე-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12130 | დეპორტივო-ალავესი | 1.90 | 1.70 |
| 12131 | მალაგა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12132 | რეალი-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 12133 | რასინგი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12135 | ვალენსია-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12136 | სარაგოსა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12161 | ნანსი-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12163 | ოსერი-ლანსი | 1.55 | 2.10 |
| 12164 | ლე მანი-აიაჩო | 1.50 | 2.30 |
| 12165 | ლილი-სოშო | 1.50 | 2.20 |
| 12166 | მონაკო-ბორდო | 1.45 | 2.25 |
| 12167 | ნანტი-ნიცა | 1.45 | 2.25 |
| 12168 | სტრასბური-მეცი | 1.45 | 2.25 |
| 12169 | პსჟ-ტრუა | 1.70 | 1.90 |
| 12170 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 1.55 | 2.20 |
| 12171 | მარსელი-რენი | 1.60 | 2.10 |
| 12234 | ამადორა-პორტუ | 1.60 | 2.00 |
| 12236 | ბელენენსეში-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 12237 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.90 | 1.70 |
| 12239 | ბრაგა-ლეირია | 1.70 | 1.90 |
| 12240 | მარიტიმუ-ჟილ ვისენტე | 1.60 | 2.00 |
| 12241 | ნასიონალი-ფერეირა | 1.70 | 1.90 |
| 12243 | ნავალი-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 12244 | რიუ ავე-პენაფიელი | 1.70 | 1.90 |
| 12245 | სეტუბალი-ბოავიშტა | 1.60 | 2.00 |
| 12256 | აეკ-ატრომიტოსი | 1.70 | 1.90 |
| 12259 | იონიკოსი-ლევადიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 12260 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 1.90 | 1.70 |
| 12261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.70 | 1.90 |
| 12262 | ოფი-კალამარია | 1.70 | 1.90 |
| 12263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 12264 | პაოკ-ქსანთი | 1.70 | 1.90 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | სიტი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | არსენალი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ფულემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ლივერპული-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | პორტსმუთი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ბლექბერნი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სანდერლენდი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | სელტიკი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15059 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15060 | დანფერმლაინი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | ინვერნესი-ლივინგსტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | მაზერუელი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ლეჩე-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | მესინა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | ასკოლი-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ფიორენტინა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | ინტერი-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | იუვენტუსი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | ლივორნო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | პარმა-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | უდინეზე-ტრევიზო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | რომა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | ბარსელონა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ბეტისი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | ხეტაფე-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | დეპორტივო-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | მალაგა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | რეალი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | რასინგი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ვალენსია-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | სარაგოსა-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | ნანსი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | ოსერი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ლე მანი-აიაჩო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | ლილი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | მონაკო-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | ნანტი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | სტრასბური-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | პსჟ-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | მარსელი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ამადორა-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | ბენფიკა-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ბრაგა-ლეირია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | მარიტიმუ-ჟილ ვისენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | ნასიონალი-ფერეირა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | ნავალი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | რიუ ავე-პენაფიელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | სეტუბალი-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15256 | აეკ-ატრომიტოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15259 | იონიკოსი-ლევადიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15260 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15262 | ოფი-კალამარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15264 | პაოკ-ქსანთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | სიტი-მანჩესტერი | 2.30 | 1.40 |
| 14003 | არსენალი-მიდლსბრო | 1.20 | 2.60 |
| 14005 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.65 | 2.20 |
| 14006 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1.60 | 2.20 |
| 14007 | ფულემი-ნიუკასლი | 1.80 | 1.90 |
| 14008 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14012 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 1.60 | 2.00 |
| 14013 | სანდერლენდი-ჩელსი | 2.90 | 1.05 |
| 14057 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.04 | 2.50 |
| 14059 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.65 | 2.10 |
| 14060 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2.50 | 1.30 |
| 14062 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.40 | 2.30 |
| 14064 | ინვერნესი-ლივინგსტონი | 1.40 | 2.40 |
| 14065 | მაზერუელი-რეინჯერსი | 2.30 | 1.35 |
| 14081 | ლეჩე-სამპდორია | 1.80 | 1.90 |
| 14082 | მესინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 14083 | ასკოლი-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14084 | ფიორენტინა-კიევო | 1.70 | 2.40 |
| 14086 | ინტერი-კალიარი | 1.00 | |
| 14089 | ლივორნო-სიენა | 1.40 | 2.40 |
| 14090 | პარმა-ლაციო | 1.85 | 1.90 |
| 14091 | უდინეზე-ტრევიზო | 1.30 | 2.50 |
| 14092 | რომა-მილანი | 2.20 | 1.70 |
| 14125 | ბარსელონა-ბილბაო | 1.05 | 2.90 |
| 14127 | ბეტისი-ატლეტიკო | 1.80 | 2.00 |
| 14129 | ხეტაფე-სელტა | 1.80 | 2.00 |
| 14130 | დეპორტივო-ალავესი | 1.20 | 2.60 |
| 14131 | მალაგა-კადისი | 1.65 | 2.10 |
| 14132 | რეალი-სევილია | 1.30 | 2.50 |
| 14133 | რასინგი-ვილიარეალი | 1.90 | 1.80 |
| 14134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.75 | 2.10 |
| 14135 | ვალენსია-ოსასუნა | 1.60 | 2.30 |
| 14136 | სარაგოსა-მალიორკა | 1.60 | 2.30 |
| 14234 | ამადორა-პორტუ | 2.30 | 1.40 |
| 14236 | ბელენენსეში-სპორტინგი | 2.10 | 1.65 |
| 14237 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.03 | 2.60 |
| 14239 | ბრაგა-ლეირია | 1.40 | 2.40 |
| 14240 | მარიტიმუ-ჟილ ვისენტე | 1.60 | 2.30 |
| 14241 | ნასიონალი-ფერეირა | 1.40 | 2.40 |
| 14243 | ნავალი-გიმარაეში | 1.80 | 2.00 |
| 14244 | რიუ ავე-პენაფიელი | 1.30 | 2.50 |
| 14245 | სეტუბალი-ბოავიშტა | 1.80 | 2.00 |
| 14256 | აეკ-ატრომიტოსი | 1.15 | 2.60 |
| 14259 | იონიკოსი-ლევადიაკოსი | 1.40 | 2.40 |
| 14260 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 1.20 | 2.60 |
| 14261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.45 | 2.35 |
| 14262 | ოფი-კალამარია | 1.45 | 2.40 |
| 14263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.65 | 2.20 |
| 14264 | პაოკ-ქსანთი | 1.60 | 2.30 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | სიტი-მანჩესტერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.55 |
| 11003 | არსენალი-მიდლსბრო | 1.75 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11005 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11006 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11007 | ფულემი-ნიუკასლი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11008 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.25 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11010 | პორტსმუთი-ევერტონი | 3.45 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.60 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11011 | ბლექბერნი-ბოლტონი | 3.45 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11012 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11013 | სანდერლენდი-ჩელსი | 15.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.40 |
| 11081 | ლეჩე-სამპდორია | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11082 | მესინა-პალერმო | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11083 | ასკოლი-ემპოლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11084 | ფიორენტინა-კიევო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11089 | ლივორნო-სიენა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11090 | პარმა-ლაციო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11091 | უდინეზე-ტრევიზო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11092 | რომა-მილანი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11125 | ბარსელონა-ბილბაო | 1.40 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11127 | ბეტისი-ატლეტიკო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11129 | ხეტაფე-სელტა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11130 | დეპორტივო-ალავესი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11131 | მალაგა-კადისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11132 | რეალი-სევილია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11133 | რასინგი-ვილიარეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11135 | ვალენსია-ოსასუნა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11136 | სარაგოსა-მალიორკა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11161 | ნანსი-ლიონი | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11163 | ოსერი-ლანსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11164 | ლე მანი-აიაჩო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11165 | ლილი-სოშო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11166 | მონაკო-ბორდო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11167 | ნანტი-ნიცა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11168 | სტრასბური-მეცი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11169 | პსჟ-ტრუა | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11170 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11171 | მარსელი-რენი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11234 | ამადორა-პორტუ | 6.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11236 | ბელენენსეში-სპორტინგი | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.90 |
| 11237 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.50 | 15.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11239 | ბრაგა-ლეირია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11240 | მარიტიმუ-ჟილ ვისენტე | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11241 | ნასიონალი-ფერეირა | 2.25 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11243 | ნავალი-გიმარაეში | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11244 | რიუ ავე-პენაფიელი | 1.95 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11245 | სეტუბალი-ბოავიშტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11256 | აეკ-ატრომიტოსი | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11259 | იონიკოსი-ლევადიაკოსი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11260 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11262 | ოფი-კალამარია | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11264 | პაოკ-ქსანთი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

**„კროკოს" ბიუროებმა ზესტაფონში (გ. ჯანტურიას 150), ქუთაისსა (ცისფერყანწელების 4) და ოზურგეთში (იოანე პეტრიწის 3) უკვე განაახლეს მუშაობა**

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. X ტური. 11–12 დეკემბერი

### A ჯგუფი

**სტრასბური 68:71 ბამბერგი**

სტრასბური: რ. გრირი (15), ჯ. გრირი (14)

ბამბერგი: ნელსონი (12), ბიგლი (12)

**კლიმამიო 84:65 ბენეტონი**

კლიმამიო: მანჩინელი (19), ბეჩიროვიჩი (15)

ბენეტონი: ნიკოლასი (26)

**ჟალგირისი 87:70 აეკ**

ჟალგირისი: ფრიმენი (20), იანკუნასი (18)

აეკ: ჩალმერსი (22), პელეკანოსი (16)

**ტაუ 91:83 ოლიმპია**

ტაუ: იაკობსენი (18), სპილერი (17)

ოლიმპია: შევჩეკი (13), მარკოიშვილი (30 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 10 | 7 | 3 | +78 | 17 |
| ჟალგირისი | 10 | 7 | 3 | +13 | 17 |
| კლიმამიო | 10 | 6 | 4 | +84 | 16 |
| ბენეტონი | 10 | 6 | 4 | +18 | 16 |
| ბამბერგი | 10 | 6 | 4 | -27 | 16 |
| სტრასბური | 10 | 3 | 7 | -17 | 13 |
| აეკ | 10 | 3 | 7 | -90 | 13 |
| ოლიმპია | 10 | 2 | 8 | -59 | 12 |

### B ჯგუფი

**ეფესი 77:69 ოლიმპიაკოსი**

ეფესი: პეკერი (21), არსლანი (13)

ოლიმპიაკოსი: ხაძისი (16), ვასილოპულოსი (10)

**რიტასი 61:71 ბარსელონა**

რიტასი: იავტოკასი (13), ჰაუსი (11)

ბარსელონა: ნავარო (18), უილიამსი (36 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა)

**პროკომი 73:60 მილანი**

პროკომი: ნემეტი (16), დალმაუ (14)

მილანი: გალანდა (11)

**ციბონა 66:94 მაკაბი**

ციბონა: ბაზდარიჩი (15)

მაკაბი: სოლომონი (21), ბასტონი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 10 | 7 | 3 | +90 | 17 |
| რიტასი | 10 | 7 | 3 | +64 | 17 |
| ეფესი | 10 | 7 | 3 | +24 | 17 |
| ბარსელონა | 10 | 5 | 5 | +37 | 15 |
| ციბონა | 10 | 5 | 5 | -79 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 10 | 4 | 6 | -12 | 14 |
| პროკომი | 10 | 3 | 7 | -39 | 13 |
| მილანი | 10 | 2 | 8 | -85 | 12 |

### C ჯგუფი

**რეალი 85:68 პარტიზანი**

რეალი: რაკოჩევიჩი (23), ერველე (15)

პარტიზანი: ტრიპკოვიჩი (14), პეროვიჩი (13)

**უნიკახა 77:72 ცსკა**

ძირითადი დრო 69:69

უნიკახა: ბრაუნი (26), როდრიგესი (12)

ცსკა: ანდერსენი (16), ჰოლდენი (14)

**პანათინაიკოსი 89:79 სიენა**

პანათინაიკოსი: ბატისტე (17), სპანულისი (16)

სიენა: დატომე (17), ბოისა (25 წუთი, 2 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი)

**პო ორტეზი 85:95 ულქერი**

პო ორტეზი: კუპერი (17), დროზდოვი (15)

ულქერი: ქუთლუაი (22), თურქჯანი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 10 | 9 | 1 | +108 | 19 |
| უნიკახა | 10 | 8 | 2 | +52 | 18 |
| ცსკა | 10 | 6 | 4 | +98 | 16 |
| რეალი | 10 | 6 | 4 | +33 | 16 |
| სიენა | 10 | 3 | 7 | -38 | 13 |
| პო ორტეზი | 10 | 3 | 7 | -6 | 13 |
| ულქერი | 10 | 3 | 7 | -67 | 13 |
| პარტიზანი | 10 | 2 | 8 | -120 | 12 |

# შემონდ-შოუ

## მარკოიშვილი ევროპასაც დაუბრუნდა

**ადრიატიკის** ლიგის მატჩში 7-წუთიანი სადებიუტო ბურთაობის შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილმა ევროლიგაში ბარაქიანი თამაში გამოაცხო. „ოლიმპიას" ქართველმა უკანახაზელმა სექტემბერში ოპერაცია გაიკეთა და ამ სეზონში პირველად გასულ კვირას ითამაშა, ხუთშაბათს კი ის მეორედ გავიდა მოედანზე და იმდენი ხანი იბურთავა, რომ უნდა ვივარაუდოთ, ტრავმა სრულიად მოიშუშა.

მარკოიშვილმა ვიტორიაში „ტაუს" წინააღმდეგ 30 წუთი ღვარა ოფლი და ოლიმპიელებს 8 ქულასთან ერთად 4 მოხსნაც მიაშველა, მაგრამ ეს ვერაფერი შველა აღმოჩნდა სლოვენიელთათვის. ჯგუფის ლიდერმა ბასკებმა ოლიმპიელები 91:63 გაანადგურეს და თავად ხომ პირველ ადგილზე გამაგრდნენ, ლიუბლიანელები ჯგუფის ფსკერზე კიდევ უფრო დაძირეს.

წააგო ვლადიმერ ბოისას „სიენამაც", რომელსაც, „ოლიმპიასგან" განსხვავებით, ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივა კიდევ შერჩენია. იტალიელებს ათენში თამაშობდნენ C ჯგუფის ლიდერ „პანათინაიკოსთან" და მათი წაფორთხიალება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა.

ბოისამ მოედანზე 25 წუთი გაატარა და გვარიანად ცუდად ესროდა. შვიდი ტყორცნიდან ვოვამ მხოლოდ ერთი ჩააგდო და მოედანი მხოლოდ 2 ქულით დატოვა. სამაგიეროდ, ჩვენებურმა ფარზე იჩაუქა. მისი 8 მოხსნა უმეტესი იყო ამ მატჩში.

იხეირა ევროლიგაში მოთამაშე მესამე ხუთჯვაროსანმა და თავის გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო. „ბარსელონამ" რომ ვილნიუსში B ჯგუფის ლიდერი „ლიეტუვოს რიტასი" განგმირა, შემონდ უილიამსს უნდა უმადლოდეს, რომელმაც თამაშის ბოლოს აუშვა აფრები და შეუპოვრად მებრძოლი ლიტველების იმედებს ცივი წყალი გადაასხა.

„მწვრთნელმა ზუსტად განგვიმარტა, თუ როგორ უნდა გვეთამაშა ლიტველების წინააღმდეგ და ჩვენც წარმატებით შევასრულეთ მისი დავალება — თქვა ნამატჩევს შემონდ უილიამსმა — ზომიერი აგრესია და სწრაფი ტემპი, აი, ის ძირითადი კომპონენტები, რისი წყალობითაც გავიმარჯვეთ. მეტოქეს პერსონალურად ვმეურვეობდით და თავისუფლად არასდროს ვტოვებდით, ლიტველები ხომ შორი მანძილებიდანაც ძალიან სახიფათონი არიან. განსაკუთრებით კარგად ბოლო მეოთხედში ვითამაშეთ, რითაც „რიტასის" წინააღმდეგობა საბოლოოდ გავტეხეთ".

ამ გამარჯვებით „ბარსამ" C ჯგუფში პოზიციები გაიმყარა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იბრძვის.

**ირაკლი პერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი



# შოთა ხაბარელმა ათეული დარაზმა

## სეზონი ტოკიოში იხსნება



**დღეს** ძიუდოს სამშობლოში ძიუდოს დამაარსებელ ძიგორო კანოს სახელობის დიდი ტურნირი იწყება. ქართველი ძიუდოისტებისთვის იგი 2006 წლის პირველი საერთაშორისო შეჯიბრია და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ტოკიოში გადახალისებული შემადგენლობა წაიყვანა. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების მომვლელთაგან იაპონურ ათკაციან გუნდში მხოლოდ დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი და ლაშა გუჯეჯიანი მოხვდნენ. გუჯეჯიანი სულაც ორგანიზატორთაგან პერსონალურად მიწვეულთა შორისაა, დავითებიდან კი „ძიგორო კანოს" მხოლოდ მარგოშვილი იჭიდავებს, ისიც ერთი წონით მაღლა — 73 კილოგრამში.

ამ სამეულის შემდეგ გამოცდილებით მსოფლიოს აბსოლუტური პრიზიორი გიორგი ყიზილაშვილი და საერთაშორისო ტურნირებს გაშინაურებული ვახტანგ ხოსიტაშვილი და ირაკლი ცირეკიძე გამოირჩევიან. ბეთქილ შუკვანი, მინდია ხომიზური და საბა გავაშელიშვილი ნაკლებად გამოცდილნი არიან, თუმც ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ბლომად მედლები დაუგროვებიათ. შემადგენლობის მეათე კაცი ზვიად ხანჯალიაშვილი კი მძიმე ტრავმებისა და ოპერაციების გამო ლამის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ უბრუნდება ტატამს.

ორდღიან ტურნირს 60, 66, 73 და 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძიუდოისტები გახსნიან. დღესვე საღამოს უკვე ჩემპიონ-პრიზიორებიც გაირკვევიან. ხვალ კი საჭიდაოდ 90, 100 კილგრამიანები და მძიმეწონოსნები გავლენ.

ხოსიტაშვილი და შუკვანი 60 კილოგრამში იჭიდავებენ, ხომიზური 66-ში, მარგოშვილი 73-ში, გავაშელიშვილი 81-ში, ცირეკიძე 90-ში, ხოლო გუჯეჯიანი და ყიზილაშვილი მძიმე წონაში. ქართველებს იაპონიაში თავისი მსაჯიც ეყოლებათ. ამირან ტოტიკაშვილი მასპინძლებმა თავად მიიწვიეს. ჩვენს დელეგაციაში ერთი სიახლეცაა. შეჯიბრს ფედერაციის მიერ დაქირავებული ოპერატორი გადაიღებს, ჩვენმა ძიუდოისტებმა პოტენციური მეტოქეების ჭიდაობა უკეთ რომ შეისწავლონ.

ნატურნირევს საქართველოსა და იაპონიის ნაკრებები ხუთდღიან ერთობლივ შეკრებას მოიწყობენ. ქევხიშვილი და ხანჯალიაშვილიც სწორედ ამ ვარჯიშებისთვის წაიყვანეს იაპონიაში.

ცნობისთვის, ძიგორო კანოს მემორიალის ოქრო მხოლოდ ერთ ქართველს, დავით ბოდაველს მოუგია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# შავი ზღვა თეთრ მთას მიადგა

**მეექვსე** დღეა, კოკაი უმაღლესი წოდების დიდკაცებთან გამარჯვებებს რანგით დაბლა მდგომებთან მარცხებს უნაცვლებს. ოძეკი კოტოოსიუს წაქცევის შემდეგ გუშინ ჩვენებურმა სეკივაკე ხაკუხოსთან წააგო. სეკივაკობა ოძეკობასთან რა მოსატანია, მაგრამ აქვე ერთიც ვთქვათ, ხაკუხო ხომ იმ ტრიოში შედის, კოკუგიკანურ ბაშოს უდანაკარგოდ რომ ლიდერობენ. აქამდე ამ სეკივაკე კაცის აქტივში ხუთიდან ხუთი მოგება იყო. ცაგურიას ძლევის შემდეგ კი ექვსიდან ექვსია.

არადა, ბაშოს მიმომხილველი ვებგვერდის ცნობით, ქართულ-მონღოლური შეხვედრა ქართველის უპირატესობით დაწყებულა. კოკაი სასტარტო შეტევის შემდეგ უეცრად გვერდზე გამდგარა, მეტოქე ინერციით რომ წაექცია. ხაკუხო ხრიკს კი წამოეგო, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა და რამდენიმე წამში მომგებიანი კონტრშეტევაც წამოიწყო.

ბაშოს დასრულებამდე ცხრა ტურით ადრე მაკუტის (უმაღლესი დივიზიონს) ხაკუხოსთან ერთად 29 წლის ოძეკი ტოჩიაძუმა და 28 წლის მაეგაშირა ხოკუტორიკი უდგანან სათავეში. კოკაისთან ნაწვნევი მარცხის გამო მათ უკან უწევს ყოფნა იოკოძუნა ასასიორიუს. იმპერატორის თასის ათგზის მომგებმა გუშინ კომუსუბი კიოკუტენხო ააბურთავა.

დღეს „შავი ზღვის" მეტოქე თეთრ რუსულ მთად წოდებული 23 წლის ხაკუროზანია. აქამდე ჩატარებული ექვსი ბრძოლიდან მას მხოლოდ ერთი გამარჯვება უზეიმია და, წესით, თავში ნახსენები უცნაური ტრადიციაც დღეს უნდა დაირღვეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ბაჩანა ქობალიძის ფოტო

თვისტომთაგან ნაქებმა ბრიკის ხრუნევოლდმა სათბილისოდ რუსეთის ნაკრები სამშობლოში წაიყვანა

20 იანვრიდან საქართველოს რაგბის კავშირს და ნაკრებს ამოსასუნთქად აღარ ეცლებათ. უფროს-უმცროსიანად ჩვენებს სარაგბო სეზონის დასაწყისისათვის და წლის უმთავრესი საშინაო ჯახისთვის მოუწევთ მზადების დაწყება. 4 თებერვალს ევროპის ერთა თასზე საქართველოს ნაკრები მარადიულ და უპრინციპულეს მეტოქეს, რუსეთს დაუხვდება

# აფროციმბირული ცირკი
## ლურჯმა ხარმა თეთრი დათვები უნდა მოათვინიეროს

**სარაგბო** ამბებს რომ თავი დავანებოთ, რუსეთთან ნებისმიერი დაპირისპირება უკვე ინტრიგა და ღირსების საქმეა. სარაგბო ამბავში კი წლევანდელი ჯახი სხვათაგან გამორჩეული იქნება.

შარშანდელს აქეთ რუსებს ახალი სისხლი გადაუსხეს — „დათვები" სამხრეთაფრიკელ მწვრთნელ ბრიკის ხრუნევოლდს ჩააბარეს. ხრუნევოლდი 2002 წლამდე პრეტორიის „ბლუ ბულზის" უკანა ხაზს, ანუ ჩაუქ მოიერიშეებს წვრთნიდა. „ბლუ ბულზი" კი ქართულ სარაგბო სახლთან დამეგობრებული კლუბია. შარშანწინ სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრეს საკლუბო ტურნირზე მორაგბე „ბულზი" საქართველოშიც იყო 21-დღიან და სამმატჩა ტურნეზე. ერთი ეგაა, ხრუნევოლდი ვერ ჩამოვიდა, რაკილა ზედ ტურნეს წინ ციმბირში წავიდა სამუშაოდ. ხრუნევოლდი რუსთა შვიდკაცა ნაკრებს წვრთნიდა, ახლა კი ქვეყნის უმთავრესი გუნდიც ანდეს და სპონსორების წყალობით გვარიანი ფულიც მიაყარეს, ოღონდ გუნდი დააყენეო.

სამხრეთაფრიკელმა ჩვენების დასატორად რუსი „დათვები" ციმბირის ყინვიდან აფრიკულ სითბოს შეაფარა და ყოფილი კლუბის, „ბულზის" სათადარიგო ბაზაზე წაასხა. ერთი გადახვევაც: წარმოიდგინეთ, კლუბს თავისი სათადარიგო მოსამზადებელი ბაზა აქვს. ძირითადი რა იქნება?!

რუსებმა უკვე გაშალეს ბანაკი პრეტორიაში და ჩვენებთან მატჩისთვის ძვალ-რბილს იმაგრებენ. ხრუნევოლდმა სამშობლოში სულ 30 მორაგბე წაიყვანა:

***შერკინება:*** *ალექსანდრ ხროკინი, ვლადიმერ კორშუნოვი, ალექსანდრ ვოიცოვი, კირილ კუშნარევი, ალექსეი პანასენკო (ყველა ვე-ვე-ა), ოლეგ შუკაილოვი, ალექსეი სარიჩევი, რაშიდ სავდეევი, სერგეი ვასილევი (კრასნი იარი), ივან კრიშჩეპენკო, რომან რომაკი, ალექსანდრ რეჩნევი, არტიომ ფატასოვი (ენისეი)*

***უკანა ხაზი:*** *ალექსანდრ იანუშკინი, მაქსიმ უსკოვი (პენზა), ალექსანდრ შაკიროვი, სერგეი უზმენკო, პაველ ნოვიკოვი, ვალერი ივნატიევი, დენის აკულოვი (ენისეი), იური კუშნაროვი, ვლადიმერ სიმონოვი, ანდრეი კელერი, არტიომ ლუშკოვი (კრასნი იარი), სერგეი სუგრობოვი (სლავა), სერგეი ტრიშინი, იგორ კლუჩნიკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ანდრეი კუზინი (ვე-ვე-ა).*

სამხრეთაფრიკულ შეკრებაზე არ არიან ფრანგული „ბაიონის" მორკინალი სლავა გრაჩოვი და ასევე ფრანგული „ლიონის" ფეხჩუბინი 10 ნომერი კონსტანტინ რაჩკოვი. იგი რუსეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა იგორ მირონოვმა გააგდო გუნდიდან, აქაოდა, პატრიოტი არ ხარო, ხოლო გრაჩოვი თავის კლუბს ვერ გაეთავისუფლა, თუმც ლეგენდარული სერგეი სერგეევის წასვლის შემდეგ ის ნაკრების კაპიტნობის კანდიდატია და შეკრებას მწვრთნელთან შეთანხმებით დააკლდა. რაც შეეხება რაჩკოვს, ხრუნევოლდი მასაც დააბრუნებს და სათბილისოდ ორივეს წამოიყვანს.

როგორც ვთქვით, რუსები პრეტორიაში, უფრო ზუსტად კი, პრეტორიის მახლობლად, „ბლუ-ბულზის" (ლურჯი ხარები) სათადარიგო ბაზაზე ვარჯიშობენ. ჩვენც „სარბიელის" ძველ ნაცნობებს „ბლუ-ბულზის" მთავარ მწვრთნელ ჰაიკე მაიერს, ფიზმომზადების მწვრთნელ ვასილი კარზისს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მორკინალ ხიო კრონჩეს დავუკავშირდით. სამივე ხრუნევოლდთან მუშაობდა და მის ახლო მეგობრებად ითვლებიან. თავდაპირველად **ჰაიკე მაიერს** გავესაუბრეთ:



ბაჩანა ქობალიძის ფოტო

— ხრუნევოლდი იმ ახალგაზრდა მწვრთნელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ყოველდღიურად ცდილობენ, რაგბიში ახალი ელემენტები და კომბინაციები დანერგონ. ის წიგნებით ან ვიდეომასალით ნასწავლს არასდროს იყენებდა თავისი ფანტაზიის გარეშე. ალბათ იცით, რომ ჩვენი კლუბი ცალკე „ქარი კაპზე" ანუ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზე, ცალკე ზე-14-ში თამაშობს. ხრუნევოლდი ზე-14-ის „ბულზის" უკანა ხაზის მწვრთნელი იყო, რაც ალბათ ბევრზე მეტყველებს. მისი დახასიათება ორიოდ სიტყვით შეუძლებელია. მე ვიტყოდი, რომ ის ფანტაზიორია. მისი გუნდისგან ყველაზე მოულოდნელ, ორიგინალურ მოქმედებას უნდა ელოდო.

**— როგორც პიროვნებას, როგორ დაახასიათებდით?**

— საერთოდ, რაგბიში, როგორც კალათბურთში, მწვრთნელს ბატონობით ან რაღაც ასეთით არ მიმართავენ, ასე, უბრალოდ ასე მიმართავენ: „ქოჩ" (მწვრთნელი). ხრუნევოლდიც ასეთია, კონტაქტში შესვლა არ უჭირს, ყველაზე ჭირვეულსაც კი მოუძებნის გასაღებს. ყოველთვის ცდილობს, კონფლიქტისა და დასჯის გარეშე მოაგვაროს მორაგბესთან ურთიერთობა. ჩვენთან იყო შემთხვევა, როცა გუნდიდან სამი მორაგბე აპირებდა წასვლას, მაგრამ ბრიკისმა ვახშამზე დაპატიჟა, მერე დისკოთეკაზეც გაჰყვა და დილით სულ სხვა ჭკუაზე მყოფნი მიიყვანა ვარჯიშზე. ერთი სიტყვით, დიპლომატი ძმაკაცია.

**— თქვენგან რატომ წავიდა?**

— ჩვენთან ის უკანა ხაზის მწვრთნელი იყო. იმდენი ცოდნა და ენერგია დაუგროვდა, ვხვდებოდით, მეტის გაკეთება შეეძლო. მას ჰქონდა ამბიცია, გუნდის მთავარი მწვრთნელი ყოფილიყო და თავისი იდეები განეხორციელებინა. როდესაც რუსები დაუკავშირდნენ, კლუბის ხელმძღვანელობამაც კი ურჩია, წასულიყო. ის იმდენად თბილი და კარგი პიროვნებაა, რომ ბოსებმაც კი უპრობლემოდ გაუშვეს.

**— რაგბის როგორი სტილის მიმდევარია?**

— როგორც უკანა ხაზის მწვრთნელი, აქცენტს, ცხადია, ხელდახელ თამაშზე გააკეთებს. სტილი ისევ ჩვენი იქნება, მოედნის ცენტრთან მორკინალების ორსამფაზიანი დარტყმა და მერე კომბინაციების მრავალფეროვნება. ხრუნევოლდს მეტოქის ნახევარზე გაშლილი თამაში ყველაფერს ურჩევნია. სხვათა შორის, რუსებს თავად სთხოვა შვიდკაცა ნაკრების მწვრთნელობა, რადგან უკანახაზელებისთვის კომბინაციების დამუშავებას და მისი ფანტაზიის რეალიზებას ყველაზე კარგად იქ მოახერხებდა. ახლა შერკინებასაც მიხედავს და თუ რუსმა მორაგბეებმაც ალღო აუღეს, ვფიქრობ, სერიოზული პრობლემები გექნებათ.

**— თქვენ ვის უქომაგებთ?**

— ჩვენი საქართველოში ყოფნისას იმდენი სითბო და სიყვარული ვიგრძენით, რომ გამარჯვებას საქართველოს ვუსურვებ. დანარჩენ მატჩებში კი ხრუნევოლდის გულშემატკივარი ვიქნები.

**— ხრუნევოლდის ვარჯიშები ნახეთ?**

— არა, ჯერ არ მინახავს. ამ დღეებში ჩავაკითხავ და რჩევებსაც მივცემ, როგორც მეგობარს.

მაიერის შემდეგ „ხარების" ფიზმომზადების მწვრთნელს, ჩვენსავით მართლმადიდებელს, წარმოშობით ბერძენ **ვასილი კარზისსაც** ვთხოვეთ კომენტარი: „ჩემს საქმეს რაც შეეხება, ხრუნევოლდმა სხვა სპეციალისტებზე არანაკლები იცის. ის სულ ცდილობს, მარტო სამწვრთნელო წიგნები კი არა, ფიტნეს და ფიზმომზადების ლიტერატურაც წაიკითხოს. მე ვიტყოდი, რომ უნივერსალური მწვრთნელია".

*ხიო კრონჩე:* „ხრუნევოლდი მრავალფეროვნების მომხრეა. იდეები ყოველთვის ჰქონდა და ცდილობდა, ახალი კომბინაციები ჩვენთანაც დაენერგა. ისე, ქართველებს თუ გამოადგებათ, მის ერთ-ერთ საფირმო კომბინაციას გეტყვით. მორკინალები ინდივიდუალურად ცენტრში აკეთებენ სამ-ოთხ დარტყმას, ბურთს მე-9 ნომერს აძლევენ, რომელიც 10 ნომრის და შუამარბების გამოტოვებით რომელიმე გარემარბს მოედნის კიდეზე გრძელ პასს აძლევს. გარემარბი სადამდეც შეძლებს, ირბენს, ხოლო შემდეგ შეტევა მოპირდაპირე მხარეს ანალოგიური პასით გრძელდება. მერე კი ისევ მორკინალეში ეხმარებიან — მეტოქის ღელოსთან ახლოს შეტევა ისევ ცენტრში შუამარბის დახმარებით უნდა დასრულდეს".

ჯერჯერობით ეს არის, რაც სამხრეთაფრიკელი მწვრთნელ-მორაგბეებისგან შევიტყვეთ. „ბულზის" ხელმძღვანელები დაგვპირდნენ, რომ რუსთა ბანაკიდან ცხელ-ცხელ ამბებს კიდევ მოგვაწვდიან. ერთი კი ცხადია, წინა წლებთან შედარებით, რუსთა შემადგენლობა ერთი შეხედვით სუსტია, სამაგიეროდ, ახალი მწვრთნელი ყველა წინამორბედს ერთად აღებულს გადაწონის.

სარუსეთოდ ჩვენები 20 იანვრიდან დაიწყებენ შეკრებას. საქართველოს ნაკრებს ისევ მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი მოამზადებენ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ერთა თასი იმავდროულად 2007 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა. ამ ტურნირის 2005-2006 წლების მონაგარით პირველ-მეორე ადგილოსნებს მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე არხეინი ჯგუფი გარანტირებული აქვთ. შარშანდელი ტურნირი ჩვენებმა მოიგეს და თუ წლეულს ყველა საშინაო მატჩს (რუსეთი, პორტუგალია, ჩეხეთი) სათავისოდ დაასრულებენ, სტუმრად უკრაინასაც გადაუვლიან, რაც წყალგაუვალია, მაშინ რუმინეთთან სტუმრად წაგებაც შეიძლება და მინიმუმ მეორე ადგილი გარანტირებულია.

**ბათუ ხარძიანი**



ბაჩანა ქობალიძის ფოტო

თბილისში ნამყოფი ხიო კრონჩე

# სამეფო რბოლების ლეგენდა 15

## იოხენ რინდტი



დაიბადა 1942 წლის 18 აპრილს მაინცში (გერმანია)

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1964-70 წლებში

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი

1966 წელს – მესამე პრიზიორი

1969 წელს – მეოთხე ადგილი

მოიგო ექვსი დიდი პრიზი: აშშ-ის, მონაკოს, ჰოლანდიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის

60 რბოლა, 6 მოგება, 13(6+3+4) პოდიუმი, 10 პოულ-პოზიცია, 3 უსწრაფესი წრე, 109 ქულა

გუნდები: „ბრებემ - BRM" (1964) „კუპერ - კლიმა, მაზერატი" (1965-67), „ბრებემ - რეპკო" (1968), „ლოტუს - ფორდი" (1969-70)

დაიღუპა 1970 წლის 5 სექტემბერს „მონცაზე" იტალიის დიდი პრიზის წინ კვალიფიკაციისას

*ავსტრიელი მეფორმულე კარლ-იოხენ რინდტი „სამეფო რბოლების" ისტორიაში ერთადერთი პილოტია, რომელიც სიკვდილის შემდეგ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.*

*1970 წლის სექტემბერში, მონცას ტრასაზე დაღუპვამდე, ქულათა ისეთი მარაგი დაუგროვდა, რომ დარჩენილ სამ ეტაპზე ვერავინ შეძლო სატურნირო ცხრილში მისი გადასწრება.*

*უნიჭიერესი, სწრაფი და უშიშარი მძღოლი იყო, თუმც გადამეტებულად რისკიანი. რომ იტყვიან, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ცდილობდა მანქანისგან მაქსიმუმის ამოქაჩვას და ექვსი წელი ახერხებდა კიდეც.*

*მაგრამ ბოლომდე არ დასცალდა, ძალიან ნაადრევად, სწორედ მაშინ უმუხთლა ბედმა, როცა საჩემპიონო მანქანა „იპოვა". არავინ იცის, კიდევ დაიდგამდა თუ არა გვირგვინს, ოღონდ სულ ცოტა, ხუთიოდ წელს ხომ მაინც ირბოლებდა.*

*ბედმაც უმუხთლა და იმ საჩემპიონო ბოლიდმაც*

კარლ-იოხენი წარმოშობით გერმანელი იყო. იგი დაიბადა ფრანკფურტის მახლობლად, მაინცში, გახურებული მეორე მსოფლიო ომის დროს. მამამისი შეძლებული კაცი იყო — სუნელების საფქვავ საწარმოს ფლობდა, ავსტრიელი დედა კი ადვოკატად მუშაობდა.

მშობლები 1943 წელს მოკავშირეთა ძალების მიერ ჰამბურგის დაბომბვისას დაიღუპნენ და ავსტრიელმა ბებიამ ერთი წლის შვილიშვილი თავისთან, გრაცში წაიყვანა. იქ მომავალმა ჩემპიონმა თავისი ხანმოკლე ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა.

სწავლაში თავნება, რინდტი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს, ინგლისში გაემგზავრა, სადაც უმეტეს დროს ჩიჩესტერში იახტებით რბოლით იქცევდა თავს. გარდა ამისა, ჩინებული მოთხილამურე გახდა და წყლის თხილამურებიც აითვისა, გუდვუდის ტრასის სიახლოვეშ კი ავტორბოლაზე პირველი წარმოდგენაც შეუქმნა, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მისი მომავალი გადაწყვეტილიყო.

ავსტრიაში დაბრუნებულს, ბებიაბაბუამ მე-18 დაბადების დღეზე „სიმკა მონლერი" აჩუქა და იოხენმაც რალისა და სამთო რბოლებში მიიღო მონაწილეობა. ორი წლის შემდეგ უკეთეს, სარბოლო „ალფა-რომეო ჯულიეტას" საჭეს უჯდა და წარმატებებმაც არ დაახანა — 1962 წელს ვენაში, „ამპერნის" ტრასაზე, გაცილებით მძლავრ, 3,8-ლიტრიანი ძრავებით აღჭურვილ „იაგუარებს" აჯობა. ამას მოჰყვა რვა გამარჯვება სხვადასხვა, მათ შორის სამთო რბოლებში.

ამგვარი შთამბეჭდავი დასაწყისის შემდეგ მემანქანე-მებენზინეები „ფორდი" და „ბრიტიშ პეტროლიუმი" უყოყმანოდ დათანხმდნენ ნიჭიერი მძღოლის სპონსორობაზე. წინაპრებსაც არაფერი დაუშურებიათ — გაყიდეს ოჯახური ბიზნესი და პირადი ავტომობილი, შვილიშვილისთვის ახალი „ბრებემ-ფორდი" რომ ეყიდათ.

რინდტი წარმატებით დაქროდა ჯერ „ფორმულა ჯუნიორში", მერე ფორმულა 2-ში და, ბუნებრივია, უმაღლეს კლასში გადასვლას წინ აღარაფერი ედგა. ავსტრიელის საპირველფორმულო დებიუტი 1964 წელს შედგა შინ, „ცელტვეგის" ტრეკზე. 22 წლის ახალბედას თავი ყოჩაღად ეჭირა და კარგა ხანს მესამე პოზიციაზე მოდიოდა, მაგრამ 58-ე წრეზე, შუა დისტანციაზე „ბრებემ BRM"-ს საჭე გაუფუჭდა და ბრძოლას გამოეთიშა.

ამომავალმა ვარსკვლავმა, რომელსაც ქათინაურები თავიდანვე უხვად ერგო, შემდეგი სეზონი ჯონ კუპერის გუნდში გაატარა, მაგრამ უიმედოდ მოძველებული ბოლიდით ვერაფერს გახდა — ათ რბოლაში თითო მეოთხე და მეექვსე ადგილებით საერთო ჩათვლაში მხოლოდ მე-13 იყო. რინდტმა ამ ჩაფლავებისთვის ერთგვარი კომპენსაცია მიიღო საფრანგეთში, ლე მანის ზეპრესტიჟულ, 24-საათიან მარათონში გამარჯვებით.

რბოლის მესამე საათზე იოხენისა და ინგლისელ მასტენ გრეგორის „ფერარი 250"-ს კონდენსატორი გაუფუჭდა და ადრეული პიტ სტოპის შემდეგ ტრასაზე ათწუთიანი ჩამორჩენით დაბრუნდა, მაგრამ პარტნიორებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს — მთელი ღამე დაფეთებულებმა იქროლეს და ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრნენ.

ემოციურმა ავსტრიელმა მომდევნო ორი წელიც ოდნავ მოკეთებული „კუპერ-მაზერატით" იჯირითა და ერთგულების საზღაურად ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა. საჯინიბოს სპორტული დირექტორი ჯონ კუპერი იხსენებდა: „თუ იოხენი მანქანიდან გადმოსვლისას ყველაზე საშინელ გერმანულ გინებას არ ანთხევდა, ეს ნიშნავდა, რომ რბოლამ ჩაიარა არა ძალიან ცუდად, არამედ უბრალოდ ცუდად."

საპირველფორმულო ხელმოცარვის (XII ადგილი) მიუხედავად, 1967 წელი რინდტის ცხოვრებაში ძალიანაც სასიხარულო იყო. ტყუილად არ ითვლებოდა იგი ფორმულა 2-ის მეფედ — იმ სეზონში თხუთმეტიდან ცხრა ეტაპი მოიგო და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, გაიმარჯვა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირველობებშიც.

იმავე წელს იქორწინა ფინელ ავტოკოლეგა კურტ ლინკოლნის ქალიშვილზე. იოხენმა და ნინამ ერთმანეთი ოთხი წლით ადრე, ბუდაპეშტში გაიცნეს და მას შემდეგ განუყრელები იყვნენ. იმ საბედისწერო 1970 წლამდე, ვიდრე შვეიცარიაში, ჟენევის ტბის პირას მათი ვილა აშენდებოდა, ლეგენდარული შვედი მძიმეწონოსანი მოკრივის ინგემარ იუჰანსონის აპარტამენტებში ცხოვრობდნენ. საკუთრივ რინდტების სახლი კი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ მეფორმულის, იოხენის უფროს მეგობარ ჯეკი სტიუარტის მეზობლად იდგა.

კარიერას დავუბრუნდეთ. რინდტს წარმატებისკენ გზა გაეხსნა 1969 წელს, როცა პირველად მიუჯდა მართლაცდა ღირებული, კარგი მანქანის საჭეს. გენიალურმა ინგლისელმა კონსტრუქტორმა კოლინ ჩეპმენმა ავსტრიელი, რომელიც იმხანად ყველაზე სწრაფ მრბოლად ითვლებოდა და წამყვანი საჯინიბოებიდან მაცდუნებელი წინადადებებიც ჰქონდა, უფრო მეტი ფულით და უახლესი, რევოლუციურ „ლოტუს 72"-ში ჩაჯდომის პერსპექტივით მოხიბლა.

და მართლაც, 1970 წლის ჩემპიონატი რინდტისა გამოდგა, ცხრიდან ხუთი დიდი პრიზის მოგებით მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისთვის.

მერე კი იყო ის დაწყევლილი „მონცა". კვალიფიკაციის წინ იოხენმა გაიხსენა, რომ წინა წელს წარმატება მოიპოვა მანქანაზე უკანა ანტიფრთების გარეშე, ანუ მაქსიმალურ სისწრაფეს მიაღწია ჰაერის ნაკლები წინააღმდეგობის ხარჯზე და გადაწყვიტა ექსპერიმენტი გაემეორებინა. მისმა თანაგუნდელმა ჯონ მაილსმა მანამდე იგივე სცადა და რადგან უფრთებო ბოლიდის მართვა „რულეტკის" თამაშს ემსგავსებოდა, მეგობარი გააფრთხილა.

მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში ზედმეტად დაჯერებულმა რინდტმა, მონცას ზეჩქაროსნული მონაკვეთების გათვალისწინებით, მაინც გადაწყვიტა საპოულედ უკანა ელერონების გარეშე გაჯირითება. მით უფრო, რომ ჩეპმენიც ამ აზრის იყო. რინდტის უკან მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონი დენი ჰალმი მიდიოდა, რომელმაც დაინახა, რომ უსწრაფეს და მუხთალ მოსახვევ „პარაბოლიკიდან" გამოსვლისას ავსტრიელის „ლოტუსი" შეტორტმანდა და საათში 160-კილომეტრიანი სისწრაფით რკინის დამცავ სალტეებში ცხვირით შეერჭო. იოხენი, რომელიც ვერ იტანდა უსაფრთხოების ღვედებს, ბოლიდის საჭის ქვეშ შევარდა. მას გადარჩენის მისხალი შანსიც არ ჰქონია და რამდენიმე წუთში, სასწრაფოს მანქანაში გარდაიცვალა. იოხენ რინდტი 28 წლის იყო. ტრაგედიის მიზეზად სამუხრუჭე სისტემის მოშლა დაასახელეს, რის შედეგადაც იმხელა სიჩქარეზე მძღოლმა უფრთო, გზააბნეულ ბოლიდზე კონტროლი დაკარგა.

ორიოდე თვის შემდეგ საჩემპიონო თასი მისმა 26 წლის ქვრივმა, ნინამ ჩაიბარა.

**გია ახალაძე**





იოხენი და მისი უდიდესი სიყვარული — ნინა





1970 წლის 5 სექტემბერს „მონცაზე" კვალიფიკაციისას რინდტის „ლოტუსს" უკანა ფრთა მოხსნილი ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბადრი კეთილაძის ფოტოები

გუშინწინ ხმისჩამწერ სტუდიაში ვიყავით „ამერის“ საკლუბო საქმეებზე. სტუდია სპორტის სასახლის მიმდებარედ, გეოფიზიკის ინსტიტუტის შენობაში, მე-12 სართულზე მდებარეობს. იქიდან ქალაქი ხელისგულივით მოჩანს და ჩვენმა ფოტოგრაფმა ბადრი კეთილაძემ თბილისის ხედებიც გადაიღო.

აპარატში ფოტოების დათვალიერებისას კი უცნაური რამ აღმოვაჩინეთ: სამების ეკლესიის გუმბათს შარავანდედი ედგა.

ჩავთვალეთ, რომ ფოტოზე ეს უცნაური ნათება აპარატის ბლიცმა (ეგრეთ წოდებული „სპიშკა“) გამოიწვია, ხოლო მაინცდამაინც სამების გუმბათის გაკაშკაშება უჩვეულო დამთხვევა იყო. იგივე რაკურსით კიდევ რამდენიმე ფოტო გადავიღეთ და იგივე შედეგი მივიღეთ.

ამის მერე ბადრიმ სხვა ადგილებიდან გადაიღო ხედები. წესით და რიგით, აპარატის ბლიცს სულ სხვა ადგილებში უნდა გამოეწვია ფოტოებზე ნათება, ფოტოების დათვალიერებისას კი ვნახეთ, რომ სხვა ადგილებიდან გადაღებულ ფოტოებზეც შარავანდედი ისევ სამების გუმბათს ედგა.

ჩვენ მომხდარის ახსნა გვიჭირს, ფოტოებს კი წარმოგიდგენთ.

გიორგი დარჯანია

აქეთური, იქითური

# ზამთარ-ზაფხული



AFP ლამბერან



AFP დონ ემერტი

სად როგორი ამინდია, თამაშობაც იმის მიხედვით არის. იუტას მთებში ფრისტაილის მსოფლიო თასი მიმდინარეობს, ცაში ტრიალებს იტალიელი კლაუდია ბოსია. თუმც, ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპია და გამარჯვებული შორსაა. აფრიკის მტვრიან და ცხელ სოფელს კი გადის დაკარის რალის მე-12 დღის მოტოგამარჯვებული ფრანგი სირილ დეპრე. კაი ალაგი ჩანს ეს სოფელი , სადაც გამრჯე ქალს როდინი გამოუდგამს სახლის წინ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge